ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 2 თებერვალი, 2022 №23 (8801) ფასი: 60 თეთრი

პროკურორი: „არავის აქვს ილუზია, რომ სპორტსმენს არ სტკივა ან უგულავას მუშტი მტკივნეული არ არის“

გვ.5



„ოცნებამ“ გახარია დააკომპლექსა“

გვ.3

გედევან ფოფხაძე: „ნაციონალებმა სააკაშვილი საქართველოზე მაღლა დააყენეს“

გვ.2

„ნუ გგონიათ, რომ ოპოზიცია წამოწოლილია და ბუზებს ითვლის“

ნინო ბურჯანაძე: „რეზოლუცია, რომელიც „ოცნებამ“ შემოგვთავაზა, წყალი და მონური დამოკიდებულებაა“

„რატომ არ ინტერესდებით, რამდენმა რუსმა, ბელორუსმა და ყაზახმა იყიდა თბილისში ბინა?!“

გვ.4

პეტრე მამრაძე: „ვაკის პარკში რომ შევდივარ, ასე მგონია, რუსეთში, კულტურისა და დასვენების პარკში ვარ“

„მწვანე პასპორტის“ გაუქმება მორიგი არაადეკვატური ნაბიჯია“

გვ.3



ანი ქავთარაძე: „15 ათასამდე გარდაცვლილი გვყავს და უმრავლესობა, შესაძლოა, ცოცხალი ყოფილიყო, ადეკვატური ნაბიჯები რომ გადადგმულიყო“

„გალი მეხუთე კოლონად გადავაქციეთ“

გვ.4

ოკუპირებულ რეგიონში ქართველების მიმართ პოლიტიკის შემუშავებას მოითხოვენ

გვ.5

შინაგან საქმეთა მინისტრმა თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დანაყოფების ხელმძღვანელებთან სამუშაო თათბირი გაამართა

ISSN 1987-9385

2 „მწვანე პასპორტი“ გაუქმდა

2 თაკო ჩარკვიანი: „სირცხვილია, ხალხო, ასეთი საჭურისი დოკუმენტის მიღება“

5 ხობში სახლს ცეცხლი გაუჩნდა და მთლიანად დაიწვა

6 სიკვდილმისჯილმა სასჯელის აღსრულების წინ მარწყვის ნაყინი მოითხოვა

„ნუ გგონიათ, რომ ოპოზიცია წამოწოლილია და ბუზებს ითვლის“

ნინო ბურჯანაძე: „რეზოლუცია, რომელიც „ოცნებამ“ შემოგვთავაზა, წყალი და მონური დამოკიდებულებაა“

იაგო ნაცვლიშვილი

როგორ აფასებს უკრაინის მხარდამჭერ რეზოლუციაზე მიღებულ გადაწყვეტილებას და რატომ ვერ წერს მასში მმართველი გუნდი სიტყვა რუსეთს? რატომ ფიქრობს, რომ ომი არ იქნება და სად არის ოპოზიცია? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „ერთიანი საქართველო — დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე საუბრობს.

– რეზოლუციის ტექსტი დიდ განხილვის თემად იქცა. თქვენ ხართ ძალიან გამოცდილი პოლიტიკოსი, სხვა ფლანგზეც ყოფილხართ და პრორუსობაშიც დაუდანაშაულებიხართ ოპონენტებს, მაგრამ არასოდეს გიჭირდათ აღიარება, რომ ყველაფრისთვის თავისი სახელი დაგერქმიათ. რას ნიშნავს ის ფაქტი, რომ ხდება რეზოლუციის მიღება და ვერ ამბობენ, რომ ეს არის რუსეთი?

– დიდი მადლობა ამ შეფასებისთვის. ნამდვილად ვთვლი, რომ ყველაფერს ვარქმევდი თავის სახელს. რაც შეეხება ფლანგს, ყოველთვის ერთ ფლანგზე ვიყავი, ვარ და ვიქნები. ეს არის საქართველოს დაცვა, იმისდა მიუხედავად, ვინც რა უნდა თქვას.

რაც შეეხება ამ რეზოლუციას, მე ვიტყოდი, რომ ის რეზოლუცია, რომელიც „ქართულმა ოცნებამ“ შემოგვთავაზა არის წყალი. ისევე, როგორც ნებისმიერი რამე, რასაც „ქართული ოცნება“ აკეთებს. ელემენტარულად, ის მაინც როგორ ვერ უნდა თქვა, რომ არსებობს საფრთხე, რომ რუსეთი დაუპირისპირდეს უკრაინას. ამაზეა ლაპარაკი. ეს რეზოლუცია ხაზს უსვამს, რომ „ქართულ ოცნებას“ მონური დამოკიდებულება აქვს და მისი მთავარი ამოცანაა, ემანდ ვინმე არ გააბრაზოს. ეს არის მთავარი.

რა თქმა უნდა, მე არ ვიქნებოდი იმის მომხრე, რომ ამწუთში რუსეთის მიმართ აგრესია ყოფილიყო გამოხატული, ვინაიდან ამ მომენტში არავითარი საომარი მოქმედებები არ ხდება, მაგრამ იმის დაწერა მაინც ხომ შეიძლებოდა, იმედი გვაქვს, რუსეთსა და უკრაინას შორის არანაირი საომარი მოქმედებები არ იქნებაო?! ამის დაწერასაც რომ ვერ ახერხებს ხელისუფლება, საერთოდ რაზე ვლაპარაკობთ?! ეს ნიშნავს, რომ ეს არის ხელისუფლება, რომელსაც არასოდეს არაფერზე ადეკვატური რეაგირება არ აქვს.

„ომი ვიღაცებს უნდათ რუსეთშიც და დასავლეთშიც, მაგრამ ომი არ იქნება“

– საერთოდ რაზე ვლაპარაკობთ, როცა სიტყვა „რუსეთის“ ჩაწერაც ვერ გაბედეს?

– მაგას ვამბობ ზუსტად, რომ ეს არის ხელისუფლება, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ იმაზე ზრუნავს, რომ რაიმე ტიპის დისკომფორტი არ შეექმნას მას.

– შემთხვევითი გგონიათ ეს თუ თქვენც იმ კატეგორიას მიეკუთვნებით, ვინც თვლის, რომ ეს ნაკარნახევია მოსკოვიდან?

– ვერ გეტყვით, რა არის ნაკარნახევი მოსკოვიდან და რა – არა. შესაძლოა, ნაკარნახევიც არ იყოს, მაგრამ თავად ხელისუფლება იქცეოდეს ასე. ამას არ აქვს პრინციპული მნიშვნელობა. თუ გკარნახობენ, იმაზეც უნდა გქონდეს შენი პრინციპული აზრი, უნდა გქონდეს იმის შესაძლებლობა და თავი, თქვა, რომ ორ მეზობელ სახელმწიფოს შორის ომი არ უნდა დაიწყოს და სახელის თქმა უნდა შეგეძლოს.

მეორე თემაა ის, რომ მე ვფიქრობ, ომი ნამდვილად არ იქნება. არა იმედი მაქვს ამის, არამედ თითქმის დარწმუნებული ვარ ამაში.

– რა გაძლევთ ამ რწმენას?

– მე ვერ ვხედავ ვერანაირ პოზიტივსა და სარგებელს რუსეთისთვის, რა პოზიტივი შეიძლება მოუტანოს უკრაინასთან ომმა, გარდა ძალიან დიდი თავისტკივილისა. მგონია, რომ ეს რუსეთის უმაღლეს ხელისუფლებას კარგად ესმის. ასევე ვფიქრობ, რომ ძალიან ბევრ ადამიანს როგორც რუსეთში, ასევე დასავლეთში, რა თქმა უნდა, სურს, რომ ეს ომი იყოს, მაგრამ ეს ომი არ იქნება.

– დასავლეთში ვის უნდა?

– კი, კი, დასავლეთშიც უნდათ. არიან ასეთი ძალები დასავლეთშიც, რომელთაც აწყობთ, რომ უკრაინაში ომი დაიწყოს, თუმცა, იმედი მაქვს, ამას დასავლეთის ხელისუფლებები ყველანაირად შეეწინააღმდეგებიან.

– კონკრეტული ქვეყნების ხელისუფლებებს გულისხმობთ?

– გვარებს ნუ დამასახელებინებთ. ამის უკან ვხედავ ეკონომიკურ და სხვა ინტერესებსაც. ყველა დროსა და ვითარებაში, მსოფლიოს ისტორიის განვითარების ნებისმიერ მონაკვეთში, ყოველთვის არიან ძალები, რომლებსაც დაპირისპირება და ომი აწყობთ. ვიმეორებ, ასეთი ძალები არიან დასავლეთშიც და რუსეთშიც. მაგრამ, იმედი მინდა ვიქონიო, რომ გონიერება გადაწონის და არავითარ შემთხვევაში არ იქნება ომი. თითქმის დარწმუნებული ვარ ამაში.

– ბევრმა პრინციპულობა დაუწუნა დასავლეთს. იყო დასავლეთი საკმარისად თამამი თავის განცხადებებში? განსაკუთრებით საწყის ეტაპს ვგულისხმობ, იქამდე, სანამ რუსეთი გააკეთებდა განცხადებას, რომ ომს არ აპირებს?

– რუსეთი თავიდანვე ამბობდა, რომ ომისთვის არ ემზადებოდა და ომს არ აპირებდა. ეს იყო ნათქვამი ერთმნიშვნელოვნად. თუმცა დასავლეთმა ძალიან სერიოზული განცხადებები გააკეთა. ასე რომ, ყველას კარგად ესმის, ეს ომი თუ იქნებოდა, კატასტროფულ შედეგებს გამოიწვევდა. ამიტომ ვფიქრობ, რომ ომის თავიდან აცილება აბსოლუტურად რეალისტურია.

– დავბრუნდეთ საქართველოში. ვხედავთ, რომ პოლიტიკური პროცესი ფაქტობრივად გაჩერებულია. ალბათ ნახავდით კვლევებს, როგორ იმატებს ნიჰილიზმი. სად ხართ ოპოზიცია და რატომ ხართ უმოქმედოდ?

– მოსახლეობის გარკვეულწილად მესმის, იმიტომ, რომ მას აქვს ნიჰილიზმის გარკვეული საფუძველი, რადგან ოპოზიციის ბევრმა ქმედებამ ვერ გაამართლა საზოგადოების მოლოდინი. არათანმიმდევრულობაა ოპოზიციის ძალების მოქმედებაში, თუმცა ეს არ გვაძლევს საფუძველს, რომ ხელები ჩამოვუშვათ და ბრძოლის გაგრძელებაზე უარი ვთქვათ. დღესაც მქონდა რამდენიმე ოპოზიციონერ ლიდერთან შეხვედრა. კონსულტაციები მიმდინარეობს სწორედ იქიდან გამომდინარე, რა მოვუხერხოთ ამ რეალობას, როდესაც პრაქტიკულად გაყინულია ვითარება, რათა ეს პრაქტიკა იყოს ეფექტური და ხალხისთვის გასაგები. მე, პირადად, ვმუშაობ და არიან ოპოზიციაში სხვები, რომლებიც ასევე მუშაობენ. არ მინდა, ხალხმა იფიქროს, რომ ოპოზიცია სახლშია წამოწოლილი და ბუზებს ითვლის. ასე ნამდვილად არ არის. ვითარება ძალიან რთულია და არაორდინარული გადაწყვეტილებების მიღება მოგვიწევს ძალიან ბევრ საკითხზე, რაც ბევრ ფიქრსა და სჯა-ბაასს მოითხოვს.

– არის მზაობა ოპოზიციაში, რომ თემა გასცდეს სააკაშვილს?

– სააკაშვილი არ ყოფილა ერთადერთი თემა, მათ შორის ნაციონალური მოძრაობისთვისაც კი, მით უმეტეს – სხვა ოპოზიციური პარტიებისთვის. მე არაერთგზის გამისვამს ხაზი, რომ მთავარი პრიორიტეტი არის და უნდა იყოს ვადამდელი არჩევნები, რომელსაც უნდა მოჰყვეს მთელი რიგი სხვა ცვლილებები.

– მაგრამ ამაზე დღეს საუბრობს ვინმე?

– მე არ ვიცი, ვინ საუბრობს და ვინ – არა. არიან ადამიანები, რომლებსაც ვადამდელი არჩევნები რეალურად არ აწყობთ და კომფორტულად არიან პარლამენტში, მაგრამ, ვფიქრობ, ვინც ამ პოლიტიკაზე წავა, ეს იქნება ძალიან დიდი შეცდომა, ვინაიდან ბიძინა ივანიშვილის 2024 წლამდე მიყვანა მოიტანს იმას, რომ 2024-შიც ისევე გაყალბდება არჩევნები, როგორც 2020 წლის არჩევნები გაყალბდა.

– არ აპირებთ, წამოსწიოთ კორუფციის თემა, რომელმაც მძლავრად მოიკიდა ფეხი და ქვეყანა ფაქტობრივად შიგ ეფლობა?

– ყველა თემა წამოწეული იქნება და მათ შორის კორუფციაც. უბრალოდ, „ქართული ოცნების“ პირობებში ნებისმიერი მიმართულებით იმდენად გაფუჭებულია საქმე და ისეთი უკუსვლაა ქვეყანაში, რომ ნებისმიერი თემა იმსახურებს ძალიან სერიოზულ ყურადღებასა და აქტიურ მუშაობას. მათ შორისაა კორუფციაც.

„მწვანე პასპორტი“ გაუქმდა

როგორც ჯანდაცვის მინისტრის პირველმა მოადგილე თამარ გაბუნიამ უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სხდომის შემდეგ განაცხადა, „მწვანე პასპორტის“ მოთხოვნის მოხსნა არ ნიშნავს, რომ რეგულაციები, რაც დაწესებულია ან ვაქცინაციის კამპანია უნდა შესუსტდეს.

– ე.წ. მწვანე პასპორტებთან დაკავშირებით საბჭოს გადაწყვეტილება არის ის, რომ სავალდებულო ხასიათი ქვეყნის შიგნით „მწვანე პასპორტს“ ამ ეტაპზე არ ჰქონდეს. „მწვანე პასპორტის“ ტექნიკური საფუძველი „ომიკრონთან“ დაკავშირებული ფაქტორების გათვალისწინებით შესუსტდა. როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ ინფექციის გადატანის სტატუსზე, რეინფიცირება „ომიკრონის“ პირობებში მაღალია. ამდენად, ეს არ იცავს, არ არის გარანტია იმისთვის, რომ პირი იქნება უსაფრთხო, თუ ის შევა რომელიმე ბიზნესგარემოში, რაც „მწვანე პასპორტთან“ დაკავშირებით გამოვიყენეთ. ასევე, ვაქცინაციის ნაწილში, ვაქცინაციის შემთხვევაში, ვაქცინაციაც ვიცით, რომ არის დაცვა, მაგრამ ეს არ არის სრული დაცვა ინფიცირებისგან, დაცვა არის უფრო მეტად ჰოსპიტალიზაციისა და გართულებებისთვის. „ომიკრონის“ შემთხვევაში ესეც არის მნიშვნელოვანი, ამდენად ყველაზე ძლიერი ფაქტორი არის ყოველდღიურად პსრ ტესტირება, რაც პრაქტიკულად შეუძლებელია.

ამდენად ჩვენ რეალურად რომ ვთქვათ, პირი არის ეპიდემიოლოგიურად უსაფრთხო, ეს არის ახალჩატარებული ტესტი, პსრ და ანტიგენ ტესტი. ამრიგად ამ ტექნიკური ფაქტორების გათვალისწინებით, დღევანდელი სიტუაციიდან გამომდინარე, ჩაითვალა, რომ „მწვანე პასპორტის“ სავალდებულო მოთხოვნა მოიხსნას, მაგრამ არ ნიშნავს, რეგულაციები, რაც დაწესებულია ან ვაქცინაციის კამპანია რამენაირად უნდა შესუსტდეს, რადგან ვაქცინა რჩება ერთ-ერთი მთავარი დაცვა. ბევრმა ქვეყანამ შეცვალა „მწვანე პასპორტის“ მოთხოვნები, დაამატა „ბუსტერ“ დოზის მოთხოვნა, პსრ ტესტირებაზე მეტი აქცენტი. იმ ფორმით, რა ფორმითაც გვაქვს „მწვანე პასპორტი“, ინფიცირების მაღალი რისკის პირობებში არ ქმნის სრულ გარანტიას.

აქედან გამომდინარე, ტექნიკური საფუძვლები იმისთვის, რომ „მწვანე პასპორტმა“ ეპიდემიოლოგიური სურათი შეცვალოს, არაა. მეორე მიზანი იყო ვაქცინაციის წახალისება. ეს ეფექტი დღეს ნაკლებად აღინიშნება. დღევანდელი სიტუაციიდან გამომდინარე, სავალდებულო „მწვანე პასპორტი“ იხსნება, თუმცა, ვაქცინაციის პროგრამა აქტიურად გაგრძელდება, – განაცხადა თამარ გაბუნიამ.

თაკო ჩარკვიანი: „სირცხვილია, ხალხო, ასეთი საჭურისი დოკუმენტის მიღება“

„კანონი და სამართლის“ ლიდერმა თაკო ჩარკვიანმა უკრაინის მხარდამჭერ რეზოლუციაზე პარლამენტის პლენარულ სხდომაზე ისაუბრა და თქვა, რომ ეს ყველაფერი ჩვენს ქვეყანას წინ დახვდება.

ჩარკვიანის თქმით, ის ფიქრობს, რომ უკრაინის მხარდამჭერი რეზოლუციის პროექტი დიპლომატიით აღსავსე დოკუმენტია, მაგრამ უნდა დაკონკრეტდეს ის აგრესიული მხარე, რომელმაც მთელი მსოფლიო შეაწუხა.

– მთელი მსოფლიო შეთანხმდა, რომ რუსეთი არის აგრესორი. არავინ ამბობს, რომ ჩავწეროთ, ომი გავაჩაღოთ რუსეთთან. არ არის ამაზე საუბარი, მაგრამ დოკუმენტი მივიღოთ, სადაც ჩვენი პარტნიორები და მეგობრები ვერ გაარკვევენ ამერიკა წერია იქ თუ რუსეთი, სირცხვილია, ხალხო, ასეთი საჭურისი დოკუმენტის მიღება. უხერხულია, უბრალოდ. ეს ყველაფერი ჩვენს ქვეყანას წინ დახვდება.

არ ვამბობთ, რომ აგრესიული დოკუმენტი მივიღოთ. ვფიქრობ, დიპლომატიით აღსავსე დოკუმენტია, მაგრამ უნდა დაკონკრეტდეს, ბუნებრივია, ის აგრესიული მხარე, რომელმაც მთელი მსოფლიო შეაწუხა და მით უმეტეს ჩვენი ქვეყანა. თუ ეს განზრახ კეთდება და წინ იხედება ვიღაც და რუსეთს უნდა ამითი მიანიშნოს, რომ კი ბატონო ჩვენ არ ვწერთ, რომ თქვენ აგრესორები ხართ – ამას სხვა რამე ჰქვია, ამას კოლაბორაციონიზმიც აღარ ჰქვია. ამას ჰქვია სამომავლო პერსპექტივა ქვეყნის გადაბარების სურვილისა. ამიტომ ავირიდოთ თავიდან ეს უხერხულობა და მოვიქცეთ ისე, როგორც ეკადრება მეგობარ პარტნიორ ქვეყანას და რაზეც მიგვითითებს მთელი მსოფლიო. სირცხვილია, რომ ჩვენ დღეს სხვაგვარად მოვიქცეთ, – განაცხადა თაკო ჩარკვიანმა.

2 აპრილს შუალედური არჩევნები გაიმართება

2 აპრილს საქართველოს პარლამენტისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს შუალედური არჩევნები გაიმართება – გადაწყვეტილება ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ (ცესკო) გამართულ სხდომაზე მიიღო.

2022 წლის 2 აპრილს ამომრჩევლები საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარს რუსთავში აირჩევენ, ბათუმში კი საკრებულოს მაჟორიტარს. შუალედური არჩევნებისთვის რუსთავსა და გარდაბანში 117 საარჩევნო უბანი, ხოლო ბათუმში 14 საარჩევნო უბანი გაიხსნება.

ცესკომ არჩევნებისთვის საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკები დაამტკიცა. ასევე განსაზღვრა არჩევნებთან დაკავშირებული სხვადასხვა მნიშვნელოვანი პროცედურა, მათ შორის საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების შესარჩევი კონკურსის წესი, პირობები და ვადები, ხმის დათვლის პროცესის ვიდეოფიქსაციის წესი და ა.შ.

ცნობისთვის, შუალედური არჩევნები საქართველოს პარლამენტის და ბათუმის საკრებულოს გამოკლებული წევრების ასარჩევად ტარდება.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

ვებგვერდი: **akhalitaoba.ge** ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ოცნებამ“ გახარია დააკომპლექსა“

გედევან ფოფხაძე: „ნაციონალებმა სააკაშვილი საქართველოზე მაღლა დააყენეს“

ნათია ხურცილავა

„ქართული ოცნების“ ყოფილი წევრი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი გედევან ფოფხაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო გედევან, საგაზაფხულო სესია გაიხსნა, სადაც ნაციონალური მოძრაობაა წარმოდგენილი. ქვეყანა ჩვეულ პოლიტიკურ პროცესს რამდენად დაუბრუნდა?

– მე არ მგონია, რომ ამ ქვეყანაში „ქართულმა ოცნებამ“ და ნაციონალურმა მოძრაობამ შეიძლება განსაზღვრონ, რამდენად ნორმალურია პოლიტიკური პროცესი. საჯარო, სახალხო ინტერესი გაცილებით დიდია, ვიდრე ის, რომ პარლამენტში ვიღაცებმა ერთმანეთთან რაღაცებზე მოილაპარაკონ. შეთანხმება პოლიტიკოსებს შორის კი არა, საზოგადოებასთან უნდა მოხდეს.

როდესაც პოლიტიკური პარტია აცხადებს, რომ არჩევნები გაყალბდა, პარლამენტი არალეგიტიმურია და მაინც შედის, ეს, რბილად რომ ვთქვა, არათანმიმდევრულია. ამით ხელს უწყობს ხელისუფლების უზურპაციას და დანაშაულის თანამონაწილე ხდება.

– თუნდაც მიზანი საგამოძიებო კომისიის შექმნა იყოს, როგორც ნაციონალური მოძრაობა ამბობს?

– და რა უნდა გამოიძიოს ამ კომისიამ?! ეს ხომ თავის აგდებაა! სააკაშვილია ამ ქვეყნის მთავარი მიზანი?! ნაციონალურმა მოძრაობამ სააკაშვილი საქართველოზე მაღლა დააყენა. თუ სააკაშვილით იწყება და მთავრდება მათი პოლიტიკური პროცესი და ეს არის მათი პოლიტიკის ალფა და ომეგა, მაშინ საერთოდ რაზეა საუბარი.

„ქართულმა ოცნებამ“ ნაციონალების საშუალებით მეხამრიდი შეიქმნა და ქართველ ხალხზე ბატონობს. ამით ფაქტობრივად ვიღებთ ნაციონალებს კვადრატში. კამათი იმაზე, რომელი მიტინგი უფრო სასტიკად დაირბა, 20 ივნისის თუ 26 მაისის ან 7 ნოემბრის, უაზრობა მგონია.

გასაგებია, რომ „ქართული ოცნება“ ხალხს არ ემსახურება. მან უღალატა 2012 წლის 1 ოქტომბრის ღირებულებებს. ამისთვის მან პასუხი უნდა აგოს და ის უნდა შეიცვალოს, მაგრამ ნაციონალური მოძრაობის ამოცანა სულ სხვაა.

– რა არის ნაციონალების ამოცანა?

– დააბრუნოს ის ხელისუფლება, რომელიც სააკაშვილის დროს იყო. ეს კი კონცეპტუალურად სხვადასხვა რამ არის. ამ მოცემულობაში ვართ, რაც აწყობს „ქართულ ოცნებას“. ამ დღის წესრიგით „ქართული ოცნება“ ბედნიერია. ეს არის „ქართული ოცნების“ პოლიტიკური მარადიულობის ფორმულა.

– მართლაც შეიძლება, „ქართული ოცნების“ მიზანი ეს იყოს?

– თუ ეს არის „ქართული ოცნების“ მიზანი, მაშინ ეს იქნება მარადიული ჯოჯოხეთი ქართველი ხალხისთვის. მე არ მემეტება ქართველი ხალხი ცუდი და უარესი ალტერნატივისთვის, რომ მასზე იბატონონ სააკაშვილმა ან ივანიშვილმა. ამ ქვეყნისთვის ეს დილემა დამამცირებელი და შეურაცხმყოფელია. არ ვფიქრობ, რომ ეს საზოგადოება ამას იმსახურებს.

– როგორ ფიქრობთ, რა შეცვლის ამ პოლიტიკურ რეალობას?

– ან ნაციონალური მოძრაობა უარს ამბობს დღის წესრიგზე, რომელიც სააკაშვილით იწყება და მთავრდება, ან ოპოზიცია სრულად უნდა გაემიჯნოს ამ ძალას და შეიქმნას მესამე პლატფორმა. იყო ასეთი პოლიტიკური რეალობა საქართველოში, როდესაც „მოქალაქეთა კავშირი“ და „აღორძინება“ იყო მხოლოდ, მაგრამ იმავე მიხეილ სააკაშვილის დამსახურებით ეს მოცემულობა შეიცვალა.

უნდა გაჩნდეს მოცემულობა, რომელიც უპასუხებს ქართველი ხალხის მოთხოვნებს.

– გახარია შეძლებს ამ მოცემულობის შექმნას?

– თუ სურვილი არ ექნება, ვერ შექმნის. არ უცდია ფართო პოლიტიკური მოძრაობის შექმნა, ისეთის, რომელიც თავის დროზე სააკაშვილმა გააკეთა და შემდეგ – ივანიშვილმა.

– რუსთავში მომხდარი ფაქტი (ოპოზიციური საკრებულოს ჩამოყალიბება) გაძლევთ იმის თქმის საფუძველს, რომ გახარია შეიძლება პოლიტიკური პროცესებისადმი უფრო ადეკვატური გახდეს?

– ამ მოცემულობისთვის პირველ რიგში ფართო პოლიტიკური კონსენსუსია საჭირო გახარიას გარშემო. თუ გახარია საზოგადოებას თავის თავს სთავაზობს ვიწროპარტიული ჯგუფის სახით, მაშინ ეს საქმე არ გამოვა. დღეს „ქართულ ოცნებას“ ერთი პარტია ვერ დაამარცხებს. თუ გახარია შეძლებდა დანარჩენ ოპოზიციასთან გაერთიანებას და მიზანი იქნებოდა დემოკრატიული მმართველობის ჩამოყალიბება, მაშინ ხალხი უფრო მიიღებდა ასეთ გაერთიანებას.

– „ოცნებამ“ გახარია დააკომპლექსა?

– როგორც ჩანს. თუმცა ნაციონალებსაც აწყობდათ ასეთი მოცემულობა. გახარიას ვიწროპარტიულ ინტერესებზე მაღლა სახალხო ინტერესი უნდა დაეყენებინა. მთელი ოპოზიცია უნდა შეთანხმებულიყო, პირობითად ვამბობ, გახარია, სააკაშვილი, გიგა ბოკერია, რომ ისინი არიან ხალხის დაკვეთის შემსრულებლები.

– ეს დაგვიანებულია?

– თუ გახარიას უნდა, მსხვილი პროცესის ლიდერად იქცეს, მაშინ მან ეს უნდა თქვას.

„მწვანე პასპორტის“ გაუქმება მორიგი არაადეკვატური ნაბიჯია“

ანი ქავთარაძე: „15 ათასამდე გარდაცვლილი გვყავს და უმრავლესობა, შესაძლოა, ცოცხალი ყოფილიყო, ადეკვატური ნაბიჯები რომ გადადგმულიყო“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექიმი-რეანიმატოლოგი ანი ქავთარაძე პასუხობს.

– ანი, როგორ აფასებთ ქვეყანაში არსებულ პანდემიურ სიტუაციას? საზოგადოების ნაწილი, ხელისუფლების გადაწყვეტილებით, რომელიც მწვანე პასპორტების გაუქმებას ეხება, საკმაოდ აღშფოთებულია. რამდენად სწორი გადაწყვეტილება იყო მწვანე პასპორტის გაუქმება? აქაც ანტივაქსერ მოსახლეობას გაუგორეს კოჭი?

– ეს გადაწყვეტილება ცალსახად მორიგი არაადეკვატური ნაბიჯი იყო ხელისუფლების მხრიდან, პანდემიის დროს გადადგმული მორიგი არაადეკვატური ნაბიჯი, იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენ გვყავს პოპულაციის ძალიან მცირე ნაწილი ვაქცინირებული, ანუ როდესაც ვამბობთ მოზრდილი მოსახლეობის 42%-ს, ეს არის ძალიან დაბალი მაჩვენებელი, მაშინ როდესაც ქვეყნები, რომელთა მაგალითი მათ მოჰყავთ, ძალიან მაღალი მაჩვენებლებით გამოირჩევიან. ეს არის 90% და უფრო მეტი. ამიტომ შედარება მათთან, მით უმეტეს, როდესაც იმ ქვეყნებში პირბადის ტარების რეგულაციები, ჩვენგან განსხვავებით, ჩვევაში აქვთ გადასული, არის აბსოლუტურად არაადეკვატური. მე ვფიქრობ, რომ მათ, უბრალოდ, მორიგი ლუკმა გადაუგდეს იმ ადამიანებს, რომლებიც აუცრელები არიან და ეცადნენ, ამ ჯგუფებში გარკვეული კმაყოფილება გამოეწვიათ. ამ გადაწყვეტილებას საზოგადოებრივ ჯანდაცვასთან არანაირი შემხებლობა არა აქვს.

– 24.200 შემთხვევა გაქვს და ამ დროს გამოდიხარ და აცხადებ, რომ მწვანე პასპორტებს აუქმებ. თქვენ, როგორც ექიმი, რით ხსნით ამ გადაწყვეტილებას?

– ამ ნაბიჯს ჰქვია საკუთარი მოსახლეობის, მოქალაქეებისადმი უპასუხისმგებლობა. ცალკეულ მოქალაქეებს, რა თქმა უნდა, არ მოეთხოვებათ ინფექციური სნეულებების ცოდნა და ასე შემდეგ, მაგრამ მათ აქვთ პასუხისმგებლობა, რომ გაითვალისწინონ ეპიდემიოლოგების მოთხოვნები, ჯანდაცვის სფეროს სხვა წარმომადგენლების აზრი და ამის შემდეგ მიიღონ გადაწყვეტილებები. დღეს კი ხელისუფლება გადაწყვეტილებებს იღებს პოლიტიკურად. ამ გადაწყვეტილებას მედიცინასთან და მეცნიერებასთან არაფერი საერთო, მცირე ხარისხის შეხებაც კი არ აქვს. სხვანაირად ამას ვერ შევაფასებ. აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მწვანე პასპორტი, როგორი სახითაც მათ მიიღეს, ისიც ყოვლად დაუშვებელი და გაუმართლებელი იყო, იქიდან გამომდინარე, რომ ეს გადაწყვეტილებაც პოლიტიკური იყო და უშუალოდ ხელისუფლების ჩარევით იქნა მიღებული.

– უვადოდ რომ მიანიჭეს მწვანე სტატუსი ვირუსგადატანილებს, ამას გულისხმობთ?

– დიახ, მაშინ როდესაც რეინფიცირების რისკი ერთ თვეშიც კი გვაქვს. ამიტომ მათთვის უვადოდ მწვანე სტატუსის მინიჭებაზე ლაპარაკიც არ უნდა ყოფილიყო. თუმცა მაშინაც არაადეკვატურად იქნა გადაწყვეტილება მიღებული. ასეთი სახით მწვანე პასპორტის არსებობა არც იყო მიზანშეწონილი, მაგრამ მის სრულიად გაუქმებას, სიმართლე გითხრათ, არც კი ველოდი. თუმცა, აი, ასე აგრძელებენ ჩვენს გაოცებას.

– პოლიტიკურ ქულებს იწერენ ამით? სოციალურ ქსელში უკვე აქტიურად ვხვდებით, მადლობა პრემიერს ამ გადაწყვეტილების მიღებისთვისო. ამაზე იყო გათვლილი?

– დიახ, რა თქმა უნდა. ნათლად აჩვენა, რომ ეს იყო პოპულისტური ნაბიჯი. ვაქცინაციამ ძალიან კარგად გვაჩვენა საზოგადოების განწყობა. ხელისუფლებამაც ნახა ეს განწყობა. მოზრდილი მოსახლეობის 42% როცა გყავს ვაქცინირებული, ეს იმას ნიშნავს, რომ დანარჩენი 60% საპირისპიროდ არის განწყობილი და რაღაცნაირად აგდებული დამოკიდებულება აქვს პანდემიისადმი. შესაბამისად, აღნიშნული გადაწყვეტილებაც ამ ნაწილისთვის იყო მისაღები. გარდა ამისა, სხვა სოციალურ თუ ეკონომიკურ პრობლემებს ასეთი ტიპის გადაწყვეტილებები ფარავს და გადაწყვეტილებების მიმღებებს ქულები ეწერებათ.

– თუმცა, საბოლოო ჯამში, ამით მაინც მოსახლეობა ზარალდება.

– რა თქმა უნდა, მოსახლეობა ზარალდება. ზარალდებიან ცალკეული ადამიანები, ჩვენი თანამოქალაქეები, რომლებზეც სახელმწიფომ უნდა იზრუნოს, თუკი ისინი თავად ვერ ხვდებიან, რა რისკების წინაშე დგანან. სახელმწიფომ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ მათ ეს რისკები დაანახოს. ხელისუფლებამ კი პირიქით გააკეთა. ჩვენ ვცდილობდით, მოსახლეობისთვის დაგვენახვებინა, რამხელა რისკების წინაშე ვიდექით, მაგრამ ჩვენი ხმა არ გააჟღერა. საბოლოო ჯამში, არასწორი გადაწყვეტილებით თავად დაიწერეს ქულები და ეს გააკეთეს ადამიანების სიცოცხლის ხარჯზე. 15 ათასამდე გარდაცვლილი გვყავს და მათი დიდი უმრავლესობა, შესაძლოა, ცოცხალი ყოფილიყო, სახელმწიფოს მხრიდან ადეკვატური ნაბიჯები რომ გადადგმულიყო.

– აცრა უნდა ყოფილიყო სავალდებულო?

– რა თქმა უნდა, თუნდაც გარკვეულ მიზნობრივ ჯგუფებში. დღეს ჩვენ სამედიცინო პერსონალი აუცრელი არ უნდა გვყავდეს. არ უნდა გვყავდეს აუცრელი პედაგოგები, საჯარო მოხელეები და ამით, რა თქმა უნდა, გარკვეულწილად შემცირდებოდა. ჯაჭვის წყვეტის მცდელობა უნდა ჰქონოდათ. სახელმწიფოს კი ამის მცდელობა არ ჰქონია, პირიქით, დღესაც ვხედავთ, რომ გავრცელების ხელშეწყობა ხდება და ეს ხელდასხმულია ხელისუფლების მხრიდან. სამწუხაროდ, ეს სიმართლეა.

– ანი, დღეს დომინანტია ომიკრონის შტამი და გვესმის ხელისუფლების მხრიდან განცხადებები, რომ ვირუსი მსუბუქია და მოსახლეობას მარტივად გადააქვს. თითქოს ერთბაშად მიუშვეს ყველაფერი, არადა, ხშირ შემთხვევაში არც ისე მსუბუქია და აუცრელ მოსახლეობაში გართულებებსაც იწვევს. როგორც ექიმი, რას იტყვით, რა ხდება?

– პირველ რიგში უნდა ვთქვათ ის, რომ დროის მოკლე მონაკვეთში ათასობით ადამიანის ერთდროული ინფიცირება განაპირობებს პირველადი ჯანდაცვის რგოლის გადატვირთვას, რაც არ უნდა მსუბუქი იყოს კლინიკური მიმდინარეობა, იმიტომ, რომ ინფიცირებულ ადამიანებს ერთჯერადი კონსულტაცია მაინც ესაჭიროებათ.

– ისე გადის მთელი კვირა, რომ ოჯახის ექიმი ინფიცირებულს არ ან ვერ ურეკავს.

– ადამიანებს აქვთ მოთხოვნილება, რომ მათ დაუკავშირდნენ სპეციალისტები და ეს ასე არ ხდება. ასევე, მასობრივი ინფიცირების ფონზე ჩვენ გვყავს აუცრელი პოპულაცია, მათ შორის რისკჯგუფები, 60 წელს ზევით და ქრონიკული დაავადების მქონე ადამიანები ან ორივე ერთდროულად. შესაბამისად, ამ ადამიანებისთვის თუნდაც ომიკრონი მაღალი რისკის მატარებელია. მესამეა პაციენტების პედიატრიული ჯგუფი, რომელთანაც არცთუ ისე მსუბუქად მიმდინარეობს, აღენიშნებათ ძალიან მკვეთრად გამოხატული შეუპოვარი ცხელება რამდენიმე დღის განმავლობაში. მშობლები ვერ უმკლავდებიან და შემდეგ მათაც ესაჭიროებათ ექიმის დახმარება ან ჰოსპიტალიზაცია და სწორედ ამიტომაა, რომ პედიატრიული კლინიკები გადატვირთულია. მეოთხეა პოსტკოვიდი და მის მიერ დატოვებული გართულებები, რომლის სრული სახე ჯერ არ გვინახავს. ამიტომ ნამდვილად არ უნდა გვინდოდეს თუნდაც მსუბუქად მიმდინარე ვირუსის მასობრივი ინფიცირება. მომავალში ეს შესაძლებელია სერიოზული რისკის მომცველი იყოს ადამიანებში.

– არის მოლოდინი, რომ ინფიცირებულთა რიცხვი კიდევ უფრო მოიმატებს, მით უმეტეს, ყველაფერი ასე მიუშვეს ნებაზე. როგორია თქვენი პროგნოზი?

– უახლოესი დღეების განმავლობაში ინფიცირების მაჩვენებელი ბევრად მოიმატებს. უკვე ისიც არ ვიცი, რამდენად მოერევიან ჩვენი ლაბორატორიული ქსელები ტესტირებას. უკვე ახლაც გვაქვს გადატვირთვა და შეფერხება. ამასთან ერთად, მოიმატებს ჰოსპიტალიზებული ადამიანების რაოდენობა. სამწუხაროდ, მედპერსონალიც ინტენსიურად ინფიცირდება და კადრების ძალიან მძაფრი დეფიციტია კლინიკებში, რაც, რა თქმა უნდა, ართულებს სამუშაო პროცესს. ხელისუფლებამ ყველაფერი თვითდინებაზე მიუშვა, არ გააკონტროლა არაფერი და ამან შედეგი გამოიღო. რა ხდებოდა კურორტებზე იანვარში?! არანაირი კონტროლი და რეგულაციები. აი, ახლა ვიმკით შედეგებს. საჯარო მოხელეებს 10 იანვრამდე არდადეგები მოუწყვეს. ეს ხალხი კურორტებზე შეიკრიბა და ფაქტობრივად აფეთქება მოხდა. ამ ყველაფერმა და ერთობლივად ხელისუფლებისა და საზოგადოების უპასუხისმგებლობამ განაპირობა ეს სამწუხარო შედეგი.

შევიძენ
ძველ ანტიკვარულ ნივთებს,
ნახატ სურათებს,
ძველ წიგნებს და ფაიფურს.
ტელ.: 598-43-98-57

„რატომ არ ინტერესდებით, რამდენმა რუსმა, ბელორუსმა და ყაზახმა იყიდა თბილისში ბინა?!“

პეტრე მამრაძე: „ვაკის პარკში რომ შევდივარ, ასე მგონია, რუსეთში, კულტურისა და დასვენების პარკში ვარ“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის ყოფილი წევრი პეტრე მამრაძე პასუხობს.



– ბატონო პეტრე, მთელი მსოფლიოს ყურადღება მიპყრობილია უკრაინისკენ, შეიჭრება თუ არა რუსეთი მის ტერიტორიაზე. თავიდან რუსეთი უკრაინისა და საქართველოს ალიანსში მიღებაზე უარის თქმას მოითხოვდა. მეორე რიგის ამოცანად რუსეთს საქართველოსთვის ზიანის მიყენება აქვს გადაწყვეტილი?

– არა, რუსეთს ამ ეტაპზე საქართველო ნამდვილად არ აინტერესებს. პუტინისა და მისი რეჟიმისთვის საკითხი დახურულია. ეს პუტინის სიტყვებია.

– როგორ?

– საკითხი დახურულია მას შემდეგ, რაც 2008 წლის აგვისტოში სააკაშვილის საშინელი ღალატისა და სამხედრო-პოლიტიკური ავანტიურის შემდეგ რუსეთმა ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში განათავსა მძლავრი სამხედრო ბაზები, დიდძალი სამხედრო ტექნიკა და რაკეტებიც კი.

– სააკაშვილმა ვის უღალატა, პუტინს თუ საქართველოს?

– სააკაშვილმა პუტინს ნამდვილად არ უღალატა, იმოქმედა, როგორც მორჩილმა. სააკაშვილი დარწმუნებული იყო იმაში, რასაც ეუბნებოდნენ კგბ-ს გენერლად ცნობილი ბიძამისი, თემურ ალასანია, იაკობაშვილი და სხვები. ისინი ამბობდნენ: ამერიკამ და რუსეთმა მოილაპარაკეს, რუსეთმა მწვანე შუქი აგვინთო, რუსეთთან შევთანხმდით, რომ ძალები შეგვყავდაო.

რუსებმა უპრობლემოდ შეგვიშვეს, მაგრამ მერე უცებ ისეთი რაღაცები გააკეთეს – დაგვბომბეს, შემოგვიტიეს – ამას არ ველოდებოდითო. ამის თაობაზე ინტერვიუები გამოქვეყნებულია როგორც ფრანგულ გაზეთებში, ისე „ფაინენშელტაიმსში“ და სხვაგან. გახსოვთ, სააკაშვილი, იაკობაშვილი და სხვები 7 აგვისტოს რას აცხადებდნენ? ხალხო, კულახმეტოვი გვეხმარება, ყველაფერს მალე მოგიყვებითო.

მაშინ მე პარლამენტის წევრი ვიყავი და ვიცი, პარლამენტში როგორ იყო გავრცელებული ამბავი, კულახმეტოვმა დიდძალი ფული აიღო (3 თუ 4 მილიონი დოლარი) და ბოლომდე შევდივართო. ეს არის ღალატი.

– რატომ?

– საქართველოში ზრდასრულ პრეზიდენტს კი არა, მოზარდსაც კი არ ეკადრება ასეთი რამის დაჯერება და პროვოკაციაზე წამოგება. სააკაშვილს მართლა არ ესმოდა, მართლა თავის კაბინეტში იჯდა და ფიქრობდა, რომ ამ საქმეს 2-3 საათში მოაგვარებდა. ამიტომ ეს არის ღალატი.

– ამბობთ, რუსეთს საქართველო არ აინტერესებსო, მაგრამ უკრაინის საზღვართან კუნთების თამაშისა და მთელი მსოფლიოს შეძახილის ფონზე, არიქა, უკრაინაში არ შეიჭრა, თორემ მკაცრ სანქციებს მიიღებთო, რუსეთმა საქართველოში ე.წ. ბორდერიზაცია გააააქტიურა, ანუ საქართველოს მიმართაც გამოხატავს აგრესიას.

– ბორდერიზაცია ცალკე მიმდინარეობს. ბორდერიზაციის 80% სააკაშვილის მმართველობის დროს დასრულდა. ბორდერიზაცია არავის აინტერესებს და არანაირი საერთაშორისო რეზონანსი არ აქვს.

> **„სააკაშვილს მართლა თუ უნდა ნატოში შესვლა, რატომ ახმოვანებს ამას წამდაუწუმ, ნუთუ არ ესმის, რომ ნატოს ქვეყნების ლიდერებს ეს გაცილებით აღიზიანებთ, ვიდრე კრემლსო“**

– რუსეთი ბორდერიზაციას საქართველოზე ზეწოლის ინსტრუმენტად არ იყენებს?

– რუსეთს ეს არ აინტერესებს, არც უკრაინა აინტერესებს.

– თუ არ აინტერესებს, მაშინ, უკრაინის საზღვართან ჯარი რატომ უყენია?

– იმიტომაც არ აინტერესებთ, რომ ჯარი და რაკეტები უყენიათ. მათთვის საკითხი საბოლოოდ დახურულია. პუტინმა და მისმა თანამზრახველებმა (ასე ვუწოდოთ, რადგან ახალგაზრდა რუსები დემონსტრაციაზე ამბობენ: ჩვენი პრეზიდენტი ქურდი და მკვლელია. ჩვენ არ გვინდა, ჩვენს ქვეყანას, რუსეთს, ქურდი და მკვლელი პრეზიდენტი ჰყავდესო. გარშემოც არიან ჩეკისტები – ქურდები და მკვლელები. არ ჩამოვთვლი, რამდენი ადამიანი მოკლეს, მოწამლეს, მოსკოვში როგორ ააფეთქეს საცხოვრებელი სახლები. შესანიშნავად იციან, ნატო არასოდეს ემუქრებოდა არც საბჭოთა კავშირს, არც რუსეთს და ახლაც არანაირ საფრთხეს არ წარმოადგენს.

აგერ არიან ნატოს წევრი ბალტიის ქვეყნები. ბალტიის ქვეყნებიდან პეტერბურგამდე და მოსკოვამდე რა მანძილია. ნატომ რაკეტები იქ რომ განათავსოს, ხომ შეიძლება. დღემდე რატომ არ განათავსა? რაკეტები ბალტიისპირეთში მას შემდეგაც რატომ არ განათავსა, რაც ყირიმის ანექსია მოხდა. არც ახლა განუთავსებია.

– უკრაინის მხარდამჭერი რევოლუციის პროექტი ნაცმოძრაობამ და, ზოგადად, ოპოზიციამ დაიწუნა, მკაცრი და მკვეთრი არ არისო. მნიშვნელოვან საკითხებზე მაინც ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის შეთანხმება რატომ ვერ ხერხდება?

– რა თქმა უნდა, ასე იქნება, რადგან ნაცებს დავალება აქვთ. სააკაშვილმა ყველაფერი შეასრულა.

იმ დროისთვის, როცა ჩეკისტებმა და ნაცებმა გავრილოვის ღამე მოაწყვეს, რუს ტურისტებს სოციალური ქსელი აკლებული ჰქონდათ.

რუსები საქართველოში რომ შემოდიან, ამაზე წერენ, სამდღიანი ჯოჯოხეთის გავლა გვჭირდება ჩვენს მხარეს, საქართველოში რომ შევიდეთო. იმ დალოცვილ ქვეყანაში რომ შევდივართ, სამოთხეა, ყველა საბუთს 10 წუთში გიფორმებენ, არავითარი ფული და ქრთამი საჭირო არ არის. სანამ საბუთს გიფორმებენ, იქ ბავშვთა ოთახია, ბავშვი თამაშობს, იქ ხილი და მინერალური წყლებია. დაისვენე. ასე იწყება ჩვენი მოგზაურობა ჯოჯოხეთიდან სამოთხეშიო.

მერე წერდნენ: აცხადებენ, რომ საქართველო ძალიან სახიფათო ქვეყანაა. მართლა სახიფათოა, მაგრამ რით? შეიძლება, მეტი მოგივიდეს მწვადი, ხინკალი, სხვა გემრიელი კერძები. ხაჭაპურია ძალიან სახიფათო, განსაკუთრებით – აჭარული. ყველაზე სახიფათოა ქართული ღვინო, იმიტომ, რომ ყველა გეპატიჟება, ყველა გმასპინძლობსო.

გავრილოვის ღამით დემონსტრაცია რომ იყო რუსთაველზე, პირდაპირ რუსთაველიდან რეპორტაჟებს ათავსებდნენ იუთუბზე და ფეისბუქში: აი, ნახეთ, ჩვენ აქ ვართ, ხალხი გვეხვევა, გვლოცავს და არავინ გვემუქრებაო. ამან გადაწყვიტა ის, რომ პუტინმა სანქციები არ მიიღო. მე ეს ამერიკელებმა მითხრეს – პუტინს თავისიანებმა უთხრეს, ახლა სანქციები რომ დაწესო, რეიტინგებში წააგებ, ხალხს ეს არ უნდაო. ამიტომ მომზადებული სანქციები გაჩერდა.

როგორც ჟურნალისტი, დაინტერესდით, რამდენმა რუსმა, ბელორუსმა და ყაზახმა იყიდა ბინა თბილისში. ეს საკმაოდ შეძლებული ფენაა, რომელსაც აქ ყოფნა ურჩევნია, რადგან ონლაინ მუშაობს. გარკვეული კაპიტალიც დაგროვებული აქვთ. სულ მიკვირდა, ამდენი კორპუსი რისთვის შენდებოდა. ვაკის პარკში რომ შევდივარ, დიდი ცვლილებებია, ასე მგონია, რუსეთში, კულტურისა და დასვენების პარკში ვარ. ოჯახები დადიან პატარა ბავშვებით, რადგან რუსეთის საშინელ, კორუმპირებულ სისტემაში ცხოვრება აღარ უნდათ.

– იმის მიხედვით, პროცესები როგორ განვითარდება, თუ რუსეთი უარს არ იტყვის თავის განზრახვასა და უკრაინაში შეჭრაზე, ასეთ ვითარებაში საქართველოს ხელისუფლებას რა ამოცანა ექნება და მოქმედების რა გეგმა უნდა გააჩნდეს?

– ჩვენნაირი ეკონომიკის ქვეყნისთვის (რომელსაც 1 საათით ბრძოლაც კი არ შეუძლია, აგვისტოს ომის დროს, თუ რამე შეიარაღება ჰქონდა ნაყიდი, ჯარი, ისიც რუსებმა ააფეთქეს სააკაშვილის ავანტიურის შემდეგ), არ გავაღიზიანოთ ნატო. სააკაშვილი რომ ყვიროდა.

ნატოს წევრი ქვეყნები მეუბნებოდნენ, სააკაშვილს მართლა თუ უნდა ნატოში შესვლა, რატომ ახმოვანებს ამას წამდაუწუმ, ნუთუ არ ესმის, რომ ნატოს ქვეყნების ლიდერებს ეს გაცილებით აღიზიანებთ, ვიდრე კრემლსო.

– ნაცები ამბობენ, რომ „ოცნების“ ხელისუფლება რუსეთს არ აღიზიანებს, თქვენ კი ამბობთ, სააკაშვილი ნატოს აღიზიანებდაო.

– აღიზიანებ ნატოს, აღიზიანებ ამერიკას. კონდოლიზა რაისი სააკაშვილს ბოლო ხმაზე უყვიროდა, როდესაც რუსეთთან კონფლიქტი მოხდა და კონდოლიზა რაისი საქართველოში ჩამოვიდა. ჩემი ძალიან ახლო ნაცნობი, ამერიკის საელჩოს თანამშრომელი და სხვები აეროპორტში იდგნენ და დაინახეს, როგორ ჩამოდიოდა ტრაპიდან კონდოლიზა რაისი და ყვიროდა: იდიოტებო, თქვენ ეს მაინც გააკეთეთო.

საქართველოში თუ ვინმეს ჰგონია, რომ რუსეთი უნდა ლანძღო და ამით რუსეთს გააღიზიანებ, ცდება. საქართველოში რუსეთის ლანძღვით ნატოს წევრი ქვეყნები ღიზიანდებიან, რადგან პუტინსა და მის დაჯგუფებას უხარიათ. ეს ხომ მათი საკვებია. ეს არის ნაცების მზაკვრული გეგმა, რომ მერე ყველაფერი „ოცნებას“ დააბრალონ.

„გალი მეხუთე კოლონად გადავაქციეთ“

ოკუპირებულ რეგიონში ქართველების მიმართ პოლიტიკის შემუშავებას მოითხოვენ

მარიამ მჭედლიშვილი

ოკუპირებულ აფხაზეთში საპარლამენტო და დე ფაქტო საპრეზიდენტო არჩევნების წინ, როგორც წესი, საჯაროდ ახსენდებათ, რომ აფხაზეთში ქართველებიც ცხოვრობენ.

12 მარტს აფხაზეთში უნდა გაიმართოს სახალხო კრების, ანუ პარლამენტის არჩევნები. ამის გამო ისევ აქტუალური გახდა სამურზაყანო და იქ მცხოვრები ქართველობა.

ის ფაქტი, რომ ქართველების უმეტესობა უუფლებო და უპასპორტოა (აფხაზური პასპორტი არა აქვს), ოკუპირებულ რესპუბლიკაში იშვიათად განიხილება ამ მოსახლეობის უფლებების შელახვის კონტექსტში. როგორც წესი, ამბობენ, რომ ქართველების ინტეგრაცია და პასპორტიზაცია უკეთესია აფხაზეთის ინტერესებისათვის.

ასე მოხდა ამ დღეებშიც, აფხაზეთის ხალხთა კონგრესის პირველ ყრილობაზე. სამურზაყანოს ქართველებზე ილაპარაკა აფხაზეთის საზოგადო და პოლიტიკურმა მოღვაწემ, ყოფილმა დეპუტატმა დავით ფილიამ, რომელიც აფხაზეთს „სახელმწიფოდ“ მოიხსენიებს.

– სამურზაყანო გადავაქციეთ ახალგაზრდობის გამოყვანის ერთგვარ ინკუბატორად. ამ ახალგაზრდობას ვაძლევთ საქართველოს, რომელთანაც დღემდე არ მოგვიწერია ხელი სამშვიდობო ხელშეკრულებაზე. გალი გადავაქციეთ მეხუთე კოლონად და ჩვენივე ხელით ვაყალიბებთ მოწინააღმდეგეებს. გალელი ახალგაზრდები ეწყობიან არა მხოლოდ საქართველოს სამოქალაქო, არამედ, სამხედრო უმაღლეს სასწავლებლებში, საქართველო კი ნატოსკენ მიისწრაფვის, – აცხადებს ფილია.

აფხაზეთის ხალხთა კონგრესის ყრილობაზე ფილიამ აღნიშნა, რომ აუცილებელია შემუშავდეს „სახელმწიფო“ პოლიტიკა სამურზაყანოს მოსახლეობის მიმართ, რათა მოხდეს მისი ინტეგრაცია აფხაზეთის საშინაო ცხოვრებაში.

შეკრებაზე ითქვა, რომ უთანხმოება აფხაზეთში დიდი საფრთხის შემცველია. გამომსვლელებს მხედველობაში ჰქონდათ პოლიტიკური კონფლიქტები აფხაზებს შორის, ასევე სხვა ეროვნებების ჩამოშორება პროცესებისგან.

– ეს აფერხებს ერთიანი ხალხის, ერთიანი მიზნის, ერთიანი ქვეყნის ჩამოყალიბებას. ჩვენი ამოცანაა საზოგადოების კონსოლიდაცია სახელმწიფოსა და მისი ინსტიტუტების გაძლიერების მიზნით, – ამბობს ფილია.

ფილიას სიტყვებით, სამურზაყანოს მოსახლეობამ დღემდე არ იცის, ვისია.

– გალი არ არის უბრალოდ რაიონი. ეს საზღვრისპირა რაიონია. მისი მცხოვრებლები დღემდე სვამენ კითხვას – გვაქვს თუ არა კავშირი აფხაზეთთან? საბჭოთა დროს გალში ცხოვრობდა რესპუბლიკის მოსახლეობის მეხუთედი, რომელიც უზრუნველყოფდა აფხაზეთის ეკონომიკური პოტენციალის მესამედს, – აღნიშნა ფილიამ.

დიდი ალბათობით, 12 მარტის საპარლამენტო არჩევნებამდე სამურზაყანო და აფხაზეთის ქართველები კიდევ გაახსენდებათ. იქნება მწვავე განცხადებები სხვა საკითხებზეც. საკითხავია, რა გაკეთდება რეალურად ქართველებისათვის, რომლებიც ხაჯიმბას დროს უპასპორტოდ დატოვეს, ახლანდელი მმართველობისას (ბჟანია-ანქვაბის) დროს კი ფაქტობრივად ბოლო მოუღეს ქართულ სკოლებს.

წლევანდელი არჩევნები რთულ საშინაო და საგარეო ფონზე ჩაივლის. იანვრის დასაწყისში დააკავეს ხელისუფლების რამდენიმე ოპონენტი. დაკავებულები სხვებთან ერთად მონაწილეობდნენ დეკემბრის საპროტესტო აქციაში, სადაც აპროტესტებდნენ ხელისუფლების პოლიტიკას ბევრი მიმართულებით. მათ შორის, ამხელდნენ ბჟანია-ანქვაბის გუნდს აფხაზეთის აქტივების რუსეთისადმი დათმობაში. დაკავება ოპოზიციამ შეაფასა პოლიტიკურ დევნად და პროვოკაციად. ითქვა, რომ ხელისუფლება წინასაარჩევნოდ პოლიტიკურ ველს ასუფთავებს.

ფაქტობრივმა პრეზიდენტმა ბჟანიამ, რომელმაც ახლახან მოსკოვში თირკმლის ოპერაცია გაიკეთა, არ დააკმაყოფილა ოპოზიციის თხოვნა არჩევნების გადატანის თაობაზე. არჩევნები დადგენილ ვადაში უნდა გაიმართოს. საშინაო დავიდარაბის გარდა, აფხაზებს საგარეო ფაქტორებიც აღელვებთ. სოხუმში იციან, რომ რუსეთის დასუსტება აფხაზეთში არსებულ სიტუაციაზეც აისახება.

პროკურორი: „არავის აქვს ილუზია, რომ სპორტსმენს არ სტკივა ან უგულავას მუშტი მტკივნეული არ არის“

– ნუ მიყვირით, – მიმართა მოსამართლემ უგულავას.

– მაშინ დამაცადეთ საუბარი, – უპასუხა მოსამართლეს ბრალდებულმა უგულავამ. აღნიშნული დიალოგი სასამართლო პროცესზე აეროპორტში მომუშავე მესაზღვრე პატრულის პაატა ბახტურიძის დაკითხვას მოჰყვა.

მან დეტალურად გაიხსენა აეროპორტში, კერძოდ, ბარში გიგი უგულავასა და ძიუდოისტ ბადრი გავაშელიშვილს შორის მომხდარი ინციდენტი.

– ბარში რომ შევედით, ჩვენ პირდაპირ იდგნენ ბატონი გიგი და ბადრი გავაშელიშვილი.

ბატონი გიგი სახით ჩემკენ იდგა, რომელსაც კარგად ვხედავდი, ბატონი გიგი ხელს იქნევდა, გავაშელიშვილს ნიკაპში ხვდებოდა თუ ზურგში, სტკიოდა თუ არ სტკიოდა, არ ვიცი, ბადრი ჩემკენ ზურგით იდგა, ისიც ხელებს იქნევდა. ვხედავდი აშკარად, რომ ისიც ხელით რეაგირებდა, – განაცხადა პატრულის თანამშრომელმა.

მისივე თქმით, ინციდენტის ამოწურვის შემდეგ მან გოკა გაბაშვილი წაქცეულ მდგომარეობაში ნახა.

– ბატონ გოკას ფეხი სტკიოდა და გადაადგილება უჭირდა. ბადრი გავაშელიშვილს მოტკეცილი მაისური ეცვა, ყელთან ჩამოხეული ჰქონდა, თვითონ აღელვებული, ანერვიულებული იყო, მიუთითებდა, ბატონ გიგიზე, შეურაცხყოფა მომაყენაო, – განაცხადა ბახტურიძემ.

აღნიშნულის შემდეგ უგულავამ მოსამართლე ბადრი კოჭლამაზაშვილს მიმართა.

– ამ საქმეში საკვანძო იქნებოდა, გამოძიებას კეთილი ენება და ის კადრები წარმოედგინა, რომელზეც საუბრობენ. ჩანაწერები არ არის. რატომ? იმიტომ, რომ პროკურატურამ განაცხადა და მარტივი მუხლია და კანონი არ გვავალდებულებს ჩანაწერები წარმოვადგინოთო და თქვენ დაეთანხმეთ. არადა, მარტივი იქნებოდა.

შენიშვნის სახით ვთქვი, ეს გაუგებრობა არის მხოლოდ იმის გამო, რომ ვიდეომასალები პროკურატურამ არ წარმოადგინა და თქვენ დაეთანხმეთ, – განაცხადა უგულავამ.

მან კითხვით მიმართა პატრულსაც, ჰქონდა თუ არა მას ინციდენტის შემდეგ დაზიანება. აღნიშნულთან დაკავშირებით, ბახტურიძემ განაცხადა, რომ შესაძლებელია, დაზიანება უგულავასაც ჰქონოდა, თუმცა, მან ტერიტორიიდან ბადრი გავაშელიშვილი განარიდა. უგულავას თქმით, მოწმე დეტალურად ყვება გავაშელიშვილის დაზიანებებს, რომელიც ზურგით იდგა, თუმცა ვერ დაინახა, მის წინ მყოფ უგულავას ჰქონდა თუ არა დაზიანება.

– თავად მსოფლიო ჩემპიონმა ბადრი გავაშელიშვილმაც თქვა, რომ მას ტკივილი არ განუცდია, თუმცა, დღეს, პროკურატურა გიგი უგულავას მსოფლიო ჩემპიონის ცემას ედავება, – ამის შესახებ ჟურნალისტებს გიგი უგულავას ადვოკატმა გიორგი გელხაურმა განუცხადა.

როგორც ადვოკატი განმარტავს, საქმეში არც ერთი მტკიცებულება არ არის, რითაც უგულავას მხრიდან ბადრი გავაშელიშვილის ცემა დასტურდება.

– ეს არის სისხლის სამართლის საქმე, სადაც გიგი უგულავამ სცემა მსოფლიო ჩემპიონი ბადრი გავაშელიშვილი. გრძელდება საქმის არსებითი განხილვა, ვნახოთ, ბრალდების მხარე ვის წარმოადგენს, ვინ დაადასტურებს ბადრი გავაშელიშვილის ცემის ფაქტს და შემდეგ გავაკეთებთ შეფასებებს. საქმეში არც ერთი მტკიცებულება არ არის, რითაც გავაშელიშვილის ცემა დასტურდება, თავად ბადრი გავაშელიშვილმაც თქვა, რომ მას ტკივილი არ განუცდია, თუმცა, დღეს, პროკურატურა გიგი უგულავას მსოფლიო ჩემპიონის ცემას ედავება, – განაცხადა გელხაურმა.

❖ ❖ ❖

გიგი უგულავას საქმის პროკურორი ნათია გურული აცხადებს, რომ აეროპორტში სპორტსმენის ცემის ვიდეოს ოქმი არსებობს და „არავის აქვს ილუზია, რომ სპორტსმენებს არ სტკივათ“.

მისივე განმარტებით, გიგი უგულავა უარს აცხადებს ამნისტიაზე, ამიტომ საქმის განხილვა გრძელდება.

– საქმეში ნამდვილად წარმოდგენილია ვიდეოჩანაწერის დათვალიერების ოქმი და ბრალდების მხარის ნებართვით, ბრალდებულის ადვოკატსაც აქვს ნანახი აღნიშნული ვიდეოჩანაწერი.

მეორე, კანონის თანახმად, ცემა ფიზიკურ ძალადობას წარმოადგენს, რასაც შედეგად ფიზიკური ტკივილი მოჰყვა. ვფიქრობ, არავის აქვს ილუზია, რომ სპორტსმენებს არ სტკივათ, ან ბრალდებულ უგულავას დარტყმული მუშტი არ შეიძლება იყოს მტკივნეული.

მესამე, გიორგი უგულავას თანხმობის შემთხვევაში ამნისტიაზე, საქმე შეწყდება იმავე დღეს, თუმცა ვინაიდან ბრალდებული უგულავა ამნისტიის გამოყენებაზე უარს აცხადებს, სასამართლო პროცესები გრძელდება, – თქვა პროკურორმა.

ცნობისთვის, შემთხვევა თბილისის აეროპორტში 2019 წლის 11 დეკემბერს მოხდა. გიგი უგულავას ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით აქვს წარდგენილი, რაც ძალადობას გულისხმობს. მას ძიუდოისტ ბადრი გავაშელიშვილის ცემას ედავებიან. გიგი უგულავასთან ერთად ბრალდებულია გავაშელიშვილის მეგობარი დავით პარკაძე, რომელსაც პოლიტიკოს გოკა გაბაშვილის ცემას ედავებიან.

პროკურორი გიორგი სანაიას მკვლელობის საქმეზე

„გიორგი სანაიას მკვლელობის საქმეზე გამოიკითხა აბსოლუტურად ყველა პირი, ვინც ციხისთავის მიერ იყო და არის ნახსენები.

განახლებული გამოძიების ფარგლებში გამოიკითხა აბსოლუტურად ყველა პირი, ვინც ციხისთავის მიერ იყო და არის ნახსენები“, – ამის შესახებ განაცხადა პროკურორმა გიორგი სანაიას საქმეზე.

პროკურორის თქმით, უნდა აღინიშნოს, რომ 28 იანვარს, ერთ-ერთი მედიასაშუალებით კონსტანტინე ციხისთავის მიერ გაკეთებული განცხადებების შინაარსი ნამდვილად არ არის ახალი საქართველოს პროკურატურისთვის.

– ამგვარი შინაარსის განცხადებები მას გაკეთებული ჰქონდა ჯერ კიდევ 2018 წლის 18 თებერვალს, ერთ-ერთი სამაუწყებლო კომპანიის ეთერში. იმხანად ის ჯერ კიდევ საპატიმრო დაწესებულებაში იმყოფებოდა. ამ განცხადებაზე მოხდა მყისიერი რეაგირება და შესაძლო ახლად გამოვლენილი გარემოებების საფუძველზე, 2018 წლის 2 მარტს საქართველოს გენერალურ პროკურატურაში განახლდა გამოძიება ჟურნალისტ გიორგი სანაიას მკვლელობის ფაქტთან დაკავშირებით. გამოძიების განახლების პირველ ეტაპზე მოხდა იმ სს საქმის გამოთხოვა და დეტალური შესწავლა, რომელიც 2001 წელს სანაიას მკვლელობასთან დაკავშირებით მიმდინარეობდა. ასევე აღსანიშნავია, რომ განახლებული გამოძიების პირველად ეტაპზე მოხდა სანაიას ოჯახის წევრების, მისი ძმის – ვახტანგ სანაიას და გიორგის მეუღლის – ხათუნა ჩხაიძის გამოკითხვა. განახლებული გამოძიება, ფაქტობრივად, სრულად მათი ჩართულობით წარიმართა. მათ ჰქონდათ შესაძლებლობა სრულად გასცნობოდნენ გამოძიების შედეგებს, სს საქმის მასალებს და, რაც ყველაზე მთავარია, მათი მოსაზრებების საფუძველზე ჩატარდა არაერთი საგამოძიებო მოქმედება, – აცხადებს პროკურორი.

როგორც პროკურორი აცხადებს, ხურცილავამ კატეგორიულად გამორიცხა, რომ მისი მხრიდან ამ დანაშაულის ჩადენა დაკავშირებული შეიძლება ყოფილიყო რაიმე ვიდეოკასეტის გადაცემის გარემოებებთან.

– პირველი, რომელიც უკავშირდება გიორგი სანაიას მკვლელობის ვერსიას. ლაპარაკია ვიდეოკასეტაზე, რომელზეც თითქოსდა აღბეჭდილი უნდა ყოფილიყო მაღალჩინოსნების კავშირი ნარკოდანაშაულთან. ციხისთავის განმარტებით, სწორედ ამ ვიდეოკასეტის ფლობის გამო მოკლეს გიორგი სანაია. მეორე ნაწილი, სადაც დასახელებულნი არიან კონკრეტული პირები, რომლებიც, ციხისთავის განმარტებით, მკვლელობის მომზადებაში და მის განხორციელებაში პირდაპირ, თუ არაპირდაპირ მონაწილეობდნენ. განახლებული გამოძიების ფარგლებში, პირველ რიგში, გამოიკითხა გიორგი სანაიას მკვლელობისთვის მსჯავრდადებული გრიგოლ ხურცილავა, რომელმაც დაადასტურა და ფაქტობრივად გაიმეორა მისი აღიარებითი ჩვენება გიორგი სანაიას მკვლელობასთან დაკავშირებით. მან კატეგორიულად გამორიცხა, რომ მისი მხრიდან ამ დანაშაულის ჩადენა დაკავშირებული შეიძლება ყოფილიყო რაიმე ვიდეოკასეტის გადაცემის გარემოებებთან. ასევე კასეტის თაობაზე, გამოიკითხა პანკისის ხეობაში ელენე თევდორაძის ყოფნის დროს მასთან ერთად მყოფი ორი ჟურნალისტი და ორივე მათგანმა დაადასტურა, რომ სოფელ დუისში, ისევე, როგორც პანკისის ხეობაში, ელენე თევდორაძის ყოფნის დროს ისინი მუდმივად თან ახლდნენ და ერთად გადაადგილდებოდნენ. მათ კატეგორიულად გამორიცხეს რომელიმე სხვა პირის მხრიდან რაიმე ვიდეოკასეტის გადაცემის ფაქტი, – განაცხადა პროკურორმა.

კითხვაზე, არსებობს თუ არა ხსენებული ვიდეოკასეტა, რადგან კოტე ციხისთავი ირწმუნება, რომ კასეტა სასამართლოს არქივში ინახება, პროკურორი პასუხობს, რომ მტკიცებულებითი მნიშვნელობის ინფორმაცია, რაც გამოძიებისთვის ხელჩასაჭიდი გახდებოდა, მოპოვებული არ არის.

– ამ კასეტის არსებობის თაობაზე გარკვეული ვერსიები, მათ შორის მედიასაშუალებებში, ჯერ კიდევ 2001 წელს მიმდინარე გამოძიების ფარგლებში ვრცელდებოდა, თუმცა რაიმე მტკიცებულებითი მნიშვნელობის ინფორმაცია, რაც გამოძიებისთვის ხელჩასაჭიდი გახდებოდა, ეს ვერსია სარწმუნოდ რომ მიეჩნია, მოპოვებული არ არის. უფრო მეტიც, მისი შესაძლო გადმოცემის გარემოებებიც კი არ დასტურდება, – აცხადებს პროკურორი.

ჟურნალისტის კითხვაზე, რომ ციხისთავი კონკრეტულ პირებზე, მკვლელობის დამგეგმავ-შემსრულებლებზე საუბრობს, ყველა მათგანი გამოკითხულია თუ არა, პროკურორი ამბობს, რომ ყველა გამოკითხულია.

– განახლებული გამოძიების ფარგლებში, გამოიკითხა აბსოლუტურად ყველა პირი, ვინც მის მიერ იყო და არის ნახსენები. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ დისტანციურად გამოიკითხა მევლუდ (შოთა ჭიჭიაშვილი), რომელმაც ასევე კატეგორიულად გამორიცხა და უარყო რაიმე სახის შემხებლობა გიორგი სანაიას მკვლელობასთან ან მისი მონაწილეობა მკვლელობის მომზადებასთან დაკავშირებით გამართულ რაიმე შეხვედრაზე, – განაცხადა მან.

რაც შეეხება გამოკითხულ სხვა პირებს, ჭიჭიაშვილი გამოიკითხა უშუალოდ მის შესაძლო მონაწილეობასთან დაკავშირებით იმ დოზით, რა დოზითაც ციხისთავი აცხადებდა, რომ მას ჰქონდა შემხებლობა. ჭიჭიაშვილის ჩვენებით, ეს არ დასტურდება, ის ჩვენებაში კატეგორიულად უარყოფს მკვლელობის მომზადების, თუ განხორციელების ეტაპზე რაიმე სახის დანაშაულის ჩადენას. ამ ადამიანის მონაწილეობის თაობაზე და დანაშაულებრივ ქმედებაზე საქმეში არც სხვა რაიმე მიმანიშნებელი არსებობს, გარდა კოტე ციხისთავის ჩვენებისა. ასევე, გამოიკითხა შსს-ს კახეთის სამხარეოს მთავარი სამმართველოს უფროსი თამაზ თამაზაშვილი. როგორც ციხისთავმა საჯაროდ გაკეთებულ განცხადებებში ისაუბრა, მკვლელობის მომზადების მიზნით გაიმართა შეხვედრა. თამაზ თამაზაშვილმა კატეგორიულად უარყო რაიმე სახის ამგვარი შეხვედრის გამართვის ფაქტი, მით უფრო, რაიმე ფორმით მისი მონაწილეობა გიორგი სანაიას მკვლელობის საქმეში. დაიკითხა შს მინისტრის ყოფილი მოადგილე კახა ბაკურაძე, რომელმაც ასევე არ დაადასტურა ციხისთავის მიერ შემოთავაზებული ინფორმაცია და უარყო ყოველგვარი შესაძლო მონაწილეობა ამ დანაშაულებრივ ქმედებაში. ასევე გამოიკითხა ციხისთავის ნათესავი, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომელი ზურაბ ზარდიაშვილი, რომელმაც თქვა, რომ სანაიას მკვლელობის გარემოებებთან დაკავშირებით მასთან არასდროს უსაუბრია და ციხისთავს მისთვის არასდროს მიუწოდებია რაიმე ტიპის ინფორმაცია ამ დანაშაულთან დაკავშირებით. ასევე გამოიკითხა იმ პერიოდში შსს-ს თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსი იოსებ ალავიძე, მის მიერ საჯაროდ გაკეთებულ განცხადებებთან დაკავშირებით, რომელიც სანაიას მკვლელობას გარკვეულ პოლიტიკურ მოტივებს უკავშირებს. მან გამოკითხვაში განმარტა, რომ ეს არის მისი პოზიცია, მოსაზრება იმ მოვლენებზე, რაც იმ პერიოდში ვითარდებოდა და მას არ აქვს კონკრეტული ინფორმაცია თავისი ვერსიის სამტკიცებლად.

პროკურორის თქმით, რეალურად, განახლებული გამოძიების მიზანია ყველა იმ შეკითხვას, რაც ამ გამოძიებასთან მიმართებით 2001 წლიდან არსებობდა, ყველა იმ ვერსიას, რაც საჯაროდ გავრცელდა, მათ შორის ოჯახის წევრების პოზიციას, მათ მოსაზრებებსა და ეჭვებს გაეცეს ამომწურავი პასუხი.

– სწორედ იმ მიზნით დაიწყო ხელახალი გამოძიება, რომ გადამოწმებულიყო, ხომ არ არსებობს რაიმე საკითხი, რომელიც გამოძიების მიღმა დარჩა 2001 წელს და მას არ მიეცა სათანადო სამართლებრივი შეფასება. ჩვენ მზად ვართ, ნებისმიერი ვერსია, მედიასაშუალებით გავრცელებული თუ ოჯახის მიერ მოწოდებული, გადავამოწმოთ, ჩავატაროთ აქტიური და ინტენსიური გამოძიება და ყველა ის შესაძლო სამართლებრივი ბერკეტი გამოვიყენოთ, რაც ჩვენს ხელთ არსებობს, ჩავატაროთ ყველა ის საგამოძიებო მოქმედება, რისი ჩატარებაც დღევანდელი გადმოსახედიდან შესაძლებელია, ვგულისხმობ გასულ საკმაოდ დიდ დროს ამ დანაშაულის ჩადენის შემდგომ, – განაცხადა მან.

ხობში სახლს ცეცხლი გაუჩნდა და მთლიანად დაიწვა

ხობის რაიონის სოფელ ზედა ქვალონში, არსებული ინფორმაციით, ერთსართულიან სახლს ცეცხლი წაეკიდა და მთლიანად დაიწვა.

შემთხვევას ორი ადამიანი ემსხვერპლა, მამა-შვილი, 30 და 70 წლის კაცები. ისინი ადგილზე დაიღუპნენ.

გავრცელებული ინფორმაციით, მამა არაფხიზელ მდგომარეობაში იმყოფებოდა, ხოლო შვილს, სავარაუდოდ, ხანძრის გაჩენის დროს ეძინა.

შინაგან საქმეთა მინისტრმა თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დანაყოფების ხელმძღვანელებთან სამუშაო თათბირი გამართა

შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა და მინისტრის პირველმა მოადგილე შალვა ბედოიძემ თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დანაყოფების ხელმძღვანელებთან სამუშაო თათბირი გამართეს.

ვახტანგ გომელაურმა თბილისის სხვადასხვა რაიონის პოლიციის ხელმძღვანელებისგან დედაქალაქში დანაშაულთან ბრძოლის, ასევე, პრევენციული საპოლიციო ღონისძიებების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოისმინა.

ვახტანგ გომელაურმა შინაგან საქმეთა სამინისტროს პრიორიტეტულ მიმართულებებზე ისაუბრა და სამუშაო პროცესთან დაკავშირებით თანამშრომლებს შესაბამისი დავალებები მისცა.

ზელენსკის ზურგში დაარტყეს

რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრის გარშემო აჟიოტაჟი სულ უფრო ძლიერდება. თავად უკრაინის შიგნით მოსკოვის აგენტურაც აქტიურდება. უკრაინული ტელეარხებიდან სისტემატურად გაისმის პროვოკაციული თეზისი იმის შესახებ, რომ რუსეთ-აშშ-ს შორის უკვე მიღწეულია შეთანხმება, ვაშინგტონიც აიძულებს კიევს, შეასრულოს მინსკის შეთანხმებები (პუტინისეული ინტერპრეტაციით). ამან საზოგადოებაში ჯეროვანი ეფექტი არ მოახდინა. უკრაინელთა უმრავლესობა კვლავ მზადაა, რომ აგრესორს საკადრისი პასუხი გასცეს. მოსკოვმაც ტაქტიკა შეცვალა.

რამდენიმე დღის წინ უკრაინის პოლიციამ დაიკავა პიროვნებების ჯგუფი, რომელიც კიევსა თუ სხვა ქალაქებში ხმაურიანი აქციების გამართვას ლამობდა. ამას პოლიციასთან შეტაკება და სისხლისღვრა უნდა მოჰყოლოდა. დაგეგმილი პროვოკაცია არ შედგა. უკრაინულმა პოლიციამ პროვოკაციის ყველა ორგანიზატორი დაიკავა.

– ყოველივე ამის ფონზე შედგა ბაიდენ-ზელენსკის საუბარი, – იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

ბაიდენმა უკრაინის პრეზიდენტი კვლავ გააფრთხილა იმ საშიშროების შესახებ, რაც მის ქვეყანას ემუქრება. ყველასათვის გასაოცრად, ზელენსკიმ მიუგო, რომ დასავლეთმა უკრაინის გარშემო სრულიად უსაფუძვლო აჟიოტაჟი ატეხა. ამ ეტაპზე არავითარი საფრთხე მოსალოდნელი არ არის, სამაგიეროდ, ზარალი, რომელიც ამ აურზაურის შედეგად უკრაინამ განიცადა, კოლოსალურიაო. ბაიდენი აღშფოთებული იყო. აშშ-მ ხომ მთელი მსოფლიოს მასშტაბით განგაშის ზარებს შემოჰკრა. ხდება უპრეცედენტო რამ: უკრაინაში დიდი რაოდენობით უახლესი თანამედროვე სამხედრო ტექნიკა შეაქვთ, ფაქტობრივად მოკლე ხნის განმავლობაში უკრაინული არმიის გადაიარაღება მოხდა და ასეთ დროს უკრაინის პრეზიდენტი ამბობს, ეს აურზაური ტყუილადაა ატეხილი, არავითარი საფრთხე არ გვემუქრებაო.

– ეს არ არის შემთხვევითი. ზელენსკის გარშემო რუსეთის ჯაშუშები ანუ „კროტები“ მოქმედებენ, – თვლის სუკის ექსპრეზიდენტი ვაშინგტონში, პოლკოვნიკი იური შვეცი.

იმას, რომ „კროტი“ არსებობს, შემდგომი მოვლენებიც მოწმობს: სიენ-ენ-ზე გავიდა სიუჟეტი, სადაც ზელენსკი-ბაიდენის საუბარი დეტალურად იყო გაშუქებული და ხაზგასმული იყო ის უკმაყოფილება, რომელიც აშშ-ის პრეზიდენტმა აშკარად გამოხატა. სი-ენ-ენი სერიოზული სტრუქტურაა. ის ინფორმაციას არ გაუშვებს, თუ ორ ან მეტ წყაროსთან არ გადაამოწმებს. თუმცა არსებობს მეორე ვარიანტიც: ინფორმაცია მაღალი თანამდებობის პირს უნდა გადაეცა, რომელიც ხსენებულ მოვლენას პირადად ესწრებოდა. ზელენსკი– ბაიდენის საუბარს კი უკრაინის პრეზიდენტის ოფისის ხელმძღვანელი ანდრეი ერმაკი დაესწრო.

– სი-ენ-ენ-საც ინფორმაცია ერმაკმა გადასცა, – მიიჩნევს შვეცი.

ამით უკრაინა ფრიად უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა. ჯერ ერთი, პრეზიდენტების კონფიდენციალური საუბარი გასაჯაროვდა; მეორეც, მათ, ვინც უკრაინისადმი სამხედრო დახმარების წინააღმდეგია, დამატებითი კოზირი მიეცათ, აქაოდა, რატომ ვაწვდით კიევს იარაღს, თუ თავად პრეზიდენტი ზელენსკი ამბობს, რომ არავითარი საფრთხე არ ემუქრებათო. საბედნიეროდ, ბაიდენს წყენის გულში ჩადება არ ახასიათებს. უკრაინისადმი დახმარებაც გრძელდება. უახლოეს დღეებში კიევში კიდევ 45 ამერიკული სამხედრო თვითმფრინავი ჩავა და იარაღს ჩაიტანს.

უკრაინას, რუსეთის გარდა, კიდევ ორი სერიოზული საფრთხე ემუქრება: კორუფცია და რუსული აგენტურა. უკანასკნელი მოვლენები მიუთითებენ იმაზე, რომ მოსკოვს ამ ქვეყანაში სერიოზული ქსელი აქვს. მის წინააღმდეგ კი ჯერჯერობით არავითარი ღონისძიებები არ ტარდება. ერმაკიც კვლავ თანამდებობაზეა.

აშშ რუსულ ელიტას სანქციებს დაუწესებს

აშშ რუსულ პოლიტიკურ ელიტას სანქციებს დაუწესებს. ამის თაობაზე იტყობინება „ფაინენშელ ტაიმსი“. საუბარია იმ ოლიგარქებზე, რომლებიც ვლადიმერ პუტინთან დაახლოებულ წრეს განეკუთვნებიან.

სანქციები გავრცელდება რუსეთის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის საწარმოებზე, ენერგეტიკულ სექტორზე, წამყვან ბანკებზე, მათ შორის გაზპრომბანკზე და ა.შ.

თეთრმა სახლმა აღნიშნული ინფორმაცია დაადასტურა. თეთრი სახლის წარმომადგენელმა პსაკიმ განაცხადა, რომ უკვე შემუშავებულია პაკეტი, რომელიც რუსული ელიტის წინააღმდეგ რადიკალური სანქციების შემოღებას ითვალისწინებს.



ბაიდენი: „რუსეთი არსებულ საერთაშორისო წესრიგს ემუქრება“

აშშ-ის პრეზიდენტმა ბაიდენმა განაცხადა, რომ რუსეთის აგრესიულ პოლიტიკასთან შეგუება გამორიცხულია.

– რუსეთი მთელ არსებულ საერთაშორისო წესრიგს ემუქრება! ამას ბოლო უნდა მოეღოს! – ამბობს ბაიდენი.

ბრიტანელთა ტონი სულ უფრო მკაცრი ხდება

ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ტრესმა განაცხადა, რომ უკრაინაში შეჭრის შემთხვევაში რუსეთს დამანგრეველ სანქციებს დაუწესებენ.

ქალბატონმა მინისტრმა ხაზი გაუსვა, რომ სანქციები როგორც პრეზიდენტ პუტინის უახლოეს გარემოცვაზე, ასევე თავად პუტინზეც გავრცელდება. სანქციებს ვერც წამყვანი რუსული ბანკები და საწარმოები ასცდებიან.

– რუსები თავს ვერაფრით დაიცავენ, – ამბობს ტრესი.

ბრაზილიის პრეზიდენტი რუსეთში ჩასვლას აპირებს

ბრაზილიის პრეზიდენტი ბოლსონარო მოსკოვს ოფიციალური ვიზიტით ესტუმრება. ის რუსეთის დედაქალაქში თებერვლის შუა რიცხვებში ჩავა.

აშშ-ის დამოკიდებულება ამ ვოიაჟისადმი უარყოფითია. ვაშინგტონში თვლიან, რომ რუსეთი აგრესიულ პოლიტიკას აწარმოებს და მსოფლიო წესრიგს საფრთხეს უქმნის.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ჟოან ლაპორტა: „ცუდი ინფორმაციაა, მაგრამ ხალხმა ყველაფერი უნდა იცოდეს“

საფეხბურთო კლუბ ბარსელონაში აუდიტი ჩატარდა, რომელიც წინა პრეზიდენტის ჟოზეპ მარია ბართომეუს დროინდელი მმართველობის პერიოდს ეხებოდა.

კატალონიური კლუბის ხელმძღვანელობამ აუდიტის დასკვნის შემდეგ პრესკონფერენცია გამართა.

ჟოან ლაპორტა, ბარსელონის პრეზიდენტი:

– ძალიან საეჭვო ოპერაციებია აღმოჩენილი. ყველა მათგანი შესწავლილია. გამოძიებამ უკანონო და არაპროპორციული გადასახადები აღმოაჩინა. არ გვინდა, იმ ქმედებების თანამონაწილეები ვიყოთ, რამაც ბარსელონა რთულ სიტუაციაში ჩააგდო. წინა მმართველობისგან მივიღეთ ეკონომიკური მდგომარეობა ასტრონომიული ვალითა და დიდი დანაკარგებით. ამას იმიტომ ვამბობთ, რომ ბარსას წევრებს უფლება აქვთ იცოდნენ, როგორ იმართებოდა კლუბი წინა მმართველობის პერიოდში.

სასამართლოში საჩივარი შევიტანეთ. აქ ვართ იმისათვის, რომ ყველაფერი უფრო დეტალურად განვმარტოთ.

ვიცოდით, რომ ცუდი ეკონომიკური მდგომარეობა იქნებოდა, მაგრამ ამ ყველაფერმა მოლოდინს გადააჭარბა. პროკურატურამ უნდა დაადგინოს, არის თუ არა ეს დანაშაული. ჩვენ არც პოლიციელები ვართ და არც მოსამართლეები, უბრალოდ, ვასრულებთ ვალდებულებას, რომ ეს ყველაფერი კლუბის წევრებს გავაცნოთ.

აქვს თუ არა ვინმეს კლუბის ფული მითვისებული? ეს ძალიან სერიოზული პრობლემაა, რასაც სასამართლო გამოძიება არ გამორიცხავს. ამას გამოძიება დაადგენს. არსებობს ადვოკატის მიერ აღებული ასტრონომიული საკომისიო, რომელიც გადახდილია ფეხბურთელისა და არა კლუბის მეშვეობით.

სახელფასო ჭერი 159 მილიონი ევროთი შევამცირეთ, რაც დღევანდელ პირობებში მოსალოცი ამბავია.

გვინდა, შეძლებისდაგვარად დანაკარგები შევამციროთ და შემოსავლების მატების პარალელურად ვალის გადახდა გავაგრძელოთ.

ცუდ სიახლეებს გატყობინებთ, მაგრამ ამას ვაკეთებთ ჩვენი პასუხისმგებლობიდან გამომდინარე და იმის გასაგებად, რომ ამ ყველაფერში ჩვენ არ ვმონაწილეობთ. ხელს არავის ვადებ. ყველაფერს გამოძიება დაადგენს.

კარგი სიახლე ისაა, რომ გუშინ დიდი ძალისხმევით ადამა ტრაორეს ტრანსფერი სრულად დავხურეთ და, თუ ყველაფერი კარგად წარიმართება, ობამეიანგსაც გავიფორმებთ.

გვინდა, ისტორიის ეს ბნელი ეტაპი დავასრულოთ.

ვისურვებდი თუ არა წინა მმართველობის წევრების ციხეში ხილვას? არა. არ მინდა, ვინმეს ზიანი მივაყენო და არც პირადი ინტერესები მაქვს. პასუხისმგებლობა ვიკისრეთ კლუბის წევრების წინაშე. ვინმეს დადანაშაულება არ გვინდა.

ბართომეუსთან არ მილაპარაკია, მაგრამ, თუ ის საუბარს მოისურვებს, ამისთვის მზად ვარ. დიალოგზე უარი არასდროს გვითქვამს და ამას არც გავაკეთებთ.

არსებობს სხვა დარღვევებიც, მაგრამ დეტალებს ჯერჯერობით ვერ გაგაცნობთ... გამოძიებას მოთხოვნის შემთხვევაში მტკიცებულებებს მივცემთ. მათ დასახმარებლად მზად ვართ.

რასაც არასდროს გავაკეთებ, არის იმის თქმა, რომ ფეხბურთელის ღირებულება 17 მილიონია და შემდეგ აღმოჩნდება, რომ 40 მილიონი მამამისთვისაა გადახდილი. რასაც არასდროს გავაკეთებ, გადასახადების დამალვაა. რეალობას არასდროს დავმალავ და ახსნა-განმარტებებს ყოველთვის გავაკეთებ.

ედუარდ რომეუ, ბარსელონის ეკონომიკის ვიცეპრეზიდენტი:

– როდესაც კლუბის სათავეში მოვედით, აღმოვაჩინეთ, რომ ფული არ გვქონდა და იყო ბევრი ვალი. თანხა არც ხელფასების გადასახდელად გვქონდა. ბარსელონამ 2 წელიწადში

გაგრძელება მე-7 გვერდზე

სიკვდილმისჯილმა სასჯელის აღსრულების წინ მარწყვის ნაყინი მოითხოვა



ამერიკის ოკლაჰომის შტატში სიკვდილით დასაჯეს დამნაშავე, რომელმაც 2001 წელს სასტუმროს ძარცვის დროს ორი ადამიანი მოკლა. 46 წლის დონალდ გრანტი ბრუკლინში დედობილისა და მამობილის ოჯახში გაიზარდა. ის ციხეში მას შემდეგ აღმოჩნდა, რაც 2001 წელს სასტიკად მოკლა 29 წლის ბრენდა მაკელია და 43 წლის ფელიცია სიუზეტ სმიტი. გრანტი სასიკვდილო განაჩენის აღსრულებას 21 წელი ელოდა.

სასჯელის აღსრულების დღედ 26 იანვარი იქნა დანიშნული. ამერიკის მთელ რიგ შტატებში ტრადიციადაა დამკვიდრებული, რომ სასიკვდილო განაჩენის აღსრულების წინ სიკვდილმისჯილს ბოლო ტრაპეზის მენიუს შერჩევის უფლება ეძლევა. გრანტმა საკუთარი მენიუ დაასახელა. მან მოითხოვა შემწვარი ბრინჯი ქუნჯუთით, ქათმის ხორცითა და კრევეტებით, ექვსი კვერცხის როლი, ვაშლის ბლინები და მარწყვის ნაყინი.

მას შემდეგ, რაც უკანასკნელი სადილი შედგა, გრანტი 18 მოწმის თვალწინ სიკვდილით დასაჯეს, რომელთა შორის მის მიერ მოკლულების ნათესავებიც იმყოფებოდნენ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

თბილისში უნიკალურ ისტორიულ აფთიაქს საფრთხე ემუქრება

თბილისის დედაქალაქში არსებულ ფერდინანდ ოტენის მიერ დაარსებულ უნიკალურ აფთიაქს საფრთხე ემუქრება. აფთიაქი გასხვისებულია 1996 წელს, ჰყავს კანონიერი მეპატრონე და სწორედ მის ნებაზეა დამოკიდებული, გააგრძელებს თუ არა აფთიაქი იქ მუშაობას. პატრონს ჰქონდა ვალდებულება, შეენარჩუნებინა პროფილი 10 წლის განმავლობაში, რაც მან გადაჭარბებით შეასრულა. ახლა იქ, რასაც უნდა, იმას გააკეთებს.

ინფორმაცია რუსიკო სტურუამ გაავრცელა:

– სასმელი წყალი მოუძებნია ტფილისისთვის. სწორედ მას გამოუკვლევია საგურამოს წყლები და ქალაქელებისთვის უხარებია, შესანიშნავია სასმელად, წყალობასავით არისო. ამბობენ, რომ ზოგჯერ ბედი და შემთხვევა ერთმანეთს ემთხვევა. ფარმაციის მაგისტრის ფერდინანდ ოტენის ტფილისში ჩამოსვლა მისთვის შემთხვევა იყო, ჩვენთვის – ბედი. ბედი იმიტომ, რომ ოტენის აფთიაქში, სოლოლაკის ქუჩაზე, წამლის გარდა, ფარმაციის მაგისტრის სიკეთით და უშურველად გაწვდილ დახმარების ხელსაც იღებდნენ ქალაქელები. ეხმარებოდა ყველას, განურჩევლად წოდებისა და სარწმუნოებისა. იმიტომაც იყო, რომ დააფასეს ტფილისელებმა, შეიყვარეს და დერპტსკისა და პეტერბურგის უნივერსიტეტებდამთავრებულ გერმანელს ტფილისის საპატიო მოქალაქის უმაღლესი წოდება ერთხმად, მთელი გულით მიანიჭეს. მერე საქართველოს ბედი მის ბედში გადაიხლართა. მისმა ოჯახმა საკუთარ თავზე გამოცადა, რა გრძნობაა, სიცივეში რომ დაგაყენებენ და ცხვრებივით დაგთვლიან ან გულაგების სიბნელესა და უიმედობაში ყოფნა რას ნიშნავს, როცა სიკვდილი ხშირად ღვთის წყალობასავით გევლინება. მისი სახელი კი დღემდე დარჩა. დრომ საჩუქარივით შემოგვინახა მისეული აფთიაქიც უნიკალური ავეჯით. ერთი კვირაა, ყოველდღე ამ აფთიაქთან მივდივარ. მივდივარ დაბარებულივით, თითქოს ვდარაჯობ მის კარს. ზემელის აფთიაქი დაგვაკარგვინეს, ჰაინეს აფთიაქი ჩვენი გულგრილობით დავკარგეთ. ოტენისასაც ვკარგავთ.

მსოფლიოს 10 ქალაქში არსებობს პრეცედენტი მუნიციპალური აფთიაქი-მუზეუმისა. რითია თბილისი, ფანასკერტელ-ციციშვილისა და მედეას ქვეყანა, სხვაზე ნაკლები, თუ არა მეტი?!

ზემელი, ჰაინე, ოტენი... განა ეს სახელები თბილისის სააფთიაქო ისტორიისთვის ცოტას ნიშნავს?!

დიდი სურვილი გვქონდა ქალაქის მერთან შეხვედრისა, მაგრამ ვერავინ ვერ დაგვეხმარა და ბოლოს ეს გზა გამოვნახეთ.

მივმართავ ქალაქის მოსახლეობას! შევადგინოთ პეტიცია და ვთხოვოთ კახი კალაძეს, ყურად იღოს ჩვენი თხოვნა და იქნებ გამოინახოს რაიმე საშუალება ამ უნიკალური, ერთადერთი ისტორიული აფთიაქის შენარჩუნებისა. ნუ გავიმეორებთ ლაღიძესა და ქალაქის №1 აფთიაქს! ??

დამერწმუნეთ, ბატონო კახი, გავა წლები, ყველას დაავიწყდება დაგებული გზები, სკვერები, მოსახლეობისადმი გაწეული დახმარება და მხოლოდ ეს იქნება ის ნაბიჯი, რომელიც საშვილიშვილოდ უკვდავყოფს დღევანდელი მერის სახელს თბილისი-ქალაქის ისტორიაში!

სხვათა შორის, როცა კომუნისტებმა ფერდინანდ ოტენს აფთიაქი და მასთან ერთად თავისი აშენებული სახლიც ჩამოართვეს, აფთიაქს ფუნქცია შეუნარჩუნეს და ლეონიძის №8-ში დღემდე არსებობდა თბილისელებისთვის ცნობილი „ოტენის აფთიაქი“.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

განცხადებები

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე მისვლით. კეთდება მხოლოდ იტალიური და იაპონური მოსახსნელი კბილის პროთეზები. გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

საქართველო პეკინში სრული შემადგენლობით ჩავიდა

საქართველოს ოლიმპიური დელეგაცია ჩინეთში ზამთრის 24-ე ოლიმპიურ თამაშებზე რამდენიმე ნაკადად გაემგზავრა და ახლა პეკინში სრული შემადგენლობით არის.

თავდაპირველად ჩინეთის დედაქალაქში სეოკ-ის ვიცეპრეზიდენტი, საქართველოს ოლიმპიური მისიის ხელმძღვანელი მამუკა ხაბარელი, სეოკ-ის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი რუსუდან აფციაური, სპორტული დირექტორი გიორგი ესაკია და მოციგავე საბა ქუმარიტაშვილი ჩავიდნენ.

მათ მიჰყვნენ ქართველი მოთხილამურეები – ნინო წიკლაური, სოსო ჯაფარიძე და მათი მწვრთნელი ივან ნარდი.

ბოლოს კი მათ ფიგურული სტილით მოციგურავეები დაემატნენ: მორის ყვითელაშვილი, ლუკა ბერულავა-კარინა საფინა, გიორგი რევია-მარია კაზაკოვა და ანასტასია გუბანოვა.

საქართველოს მოციგურავეებისათვის პეკინი-2022-ის ოლიმპიური თამაშები ისტორიულია, რადგან თამაშებზე 4-ვე დისციპლინაში გამოვლენ: ერთეულთა თანრიგი ქალთა და კაცთა შორის; სპორტული წყვილები; სპორტული ცეკვები).

ამას გარდა, მსოფლიო რეიტინგის მიხედვით, საქართველო მოხვდა იმ 10 საუკეთესო ქვეყანას შორის, რომლებიც ფიგურულ ციგურაობაში გუნდური ოლიმპიური მედლებისთვის იბრძოლებენ.

ზამთრის 24-ე ოლიმპიურ თამაშებს ჩინეთის დედაქალაქი პეკინი 4-20 თებერვალს უმასპინძლებს.

ჟოან ლაპორტა: „ცუდი ინფორმაციაა, მაგრამ ხალხმა ყველაფერი უნდა იცოდეს“

დასაწყისი მე-6 გვერდზე

600 მილიონ ევროზე მეტი დაკარგა. აქედან კორონავირუსზე მხოლოდ 135 მილიონი მოდის.

ვალი, რომელიც მოკლევადიანი იყო, გრძელვადიანი გავხადეთ. 7 წლის განმავლობაში ბარსელონის ობიექტებზე, რომლებიც სრულიად მოძველებული იყო, არანაირი რეკონსტრუქცია არ ჩატარებულა.

ჩვენი ფულადი სახსრების 450–მილიონიანი უარყოფითი ბალანსი გვაქვს. სახელფასო გადასახადი ფუნდამენტური საკითხია. ანაზღაურებებთან დაკავშირებით სიტუაცია არამდგრადი და რთული იყო. საჭირო იყო მოლაპარაკებები ფეხბურთელებთან, რომლებსაც კონტრაქტები უკვე გაფორმებული ჰქონდათ.

დღემდე ხელფასებიდან 159 მილიონი ევრო უკვე დავზოგეთ. შემოსავლების თვალსაზრისით მოძლიერება გვჭირდება... ახლა საუკეთესო მდგომარეობაში არ ვართ, მაგრამ ბარსა, როგორც ბრენდი, მაინც ძლიერია.

მიზნად დავისახეთ, რომ ბარსელონა 2 წელიწადში კარგ მდგომარეობაში ჩავაყენოთ. ახლა ბოლომდე დარწმუნებული ვართ, რომ გამოვასწორებთ იმ სიტუაციას, რომელშიც აღმოვჩნდით.

ჟაიმე კამპანერი, იურისტი:

– იმ ყველაფრის შემდეგ, რაც აღმოვაჩინეთ, ეჭვგარეშეა, რომ სასამართლოსთვის უნდა მიგვემართა. როდესაც ვინმე სხვის ქონებას მართავს, მას არ შეუძლია, ფული ისე ხარჯოს, თითქოს თავისი იყოს. საუბარია მილიონობით თანხებზე.

არსებობს საშუამავლო გადასახადები, რაც დადასტურებული არაა. საკომისიოები 33%-მდე აღწევს, როდესაც ნორმად მიღებულია 5%.

ადვოკატებმა ფული ყოველგვარი მომსახურების გაწევის გარეშე მიიღეს. საუბარი რამდენიმე მილიონ ევროზეა, მაგალითად, ფეხბურთელის შეძენისთვის დაახლოებით 7 მილიონის მიღებაზე.

დაფიქსირდა მიზანმიმართული საბუღალტრო ანგარიშსწორებები, ფული მითვისებულ იქნა, კლუბმა კი ხალხის გასაჩუმებლად 1.7 მილიონი ევრო გადაიხადა.

ასევე აღმოჩნდა 15 მილიონი ევროს ოდენობის გადასახადები სხვა კლუბისთვის ახალგაზრდა ფეხბურთელის გაყალბებულ კონტრაქტში.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მაღლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა.

მადლიერ პაციენთა რიცხვი ათასობითაა:

ლია თეთრაშვილი: მქონდა მკერდის გამაგრება, მასტოპათია. ლამარა თოდუას მკურნალობით მთლიანად განვიკურნე.

დათო ჭელიძე: წლების განმავლობაში ვიტანჯებოდი ბუასილით. ყველას ვურჩევ, მიაკითხოს ლამარა თოდუას, ნამდვილად სასწაულს ახდენს მისი მალამო.

ჟანა ამირანაშვილი: ბავშვს საბავშო ბაღში გადაედო ტილები, შემდეგ მთელს ოჯახს გადაგვდო. ლამარა თოდუას მიერ დამზადებული ნაყენით ერთ პროცედურის შემდეგ სრულიად გავთავისუფლდით.

ლილი კიზირია: 83 წლის დედას წლები აწუხებდა ჰაიმორიტი, არც კი მჯეროდა, რომ მორჩებოდა, თოდუოების მალამოთი დედა დღეს თავს შესანიშნავად გრძნობს.

დღესასწაულების შემდეგ, ხშირად უჩივიან გულძმარვას (იჟოგას), ლამარა თოდუას გამწმენდი სითხეებით პრობლემა მოგეხსნებათ.

გაზაფხულზე ავიტამინოზი ხშირად თმის ბუდობრივი ცვენის მიზეზი ხდება. ლამარა თოდუა თავისი მალამოებით თმის ამოსვლის გარანტიას პირდება ყველა პაციენტს, ვინც მას მიაკითხავს.

ლამარა თოდუას მადლიერების წიგნი 5 ათასამდე მორჩენილი პაციენტის ჩანაწერებს ითვლის, სადაც ხშირად ამოიკითხავთ – „განვიკურნე სრულიად“.

ლამარა თოდუა კვალიფიციური კოსმეტოლოგია და მის მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს. არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

მერაბ შარიქაძე: „სტაბილურობა უნდა შევინარჩუნოთ და შედეგები გავაუმჯობესოთ“

მსოფლიო რაგბის ვებგვერდმა ჩვენი ნაკრების კაპიტან მერაბ შარიქაძეს სტატია მიუძღვნა.

2021 წელი ქართული რაგბისთვის ერთდროულად აღმაფრენისა და დაცემის წელი იყო, მოედანზე – საუკეთესო მოგონებებით, ხოლო გარეთ – არცთუ ისე კარგი ამბით. „ბორჯღალოსნებმა“ რაგბი ევროპის ჩემპიონატში კიდევ ერთხელ მოუგეს ყველას – ხუთიდან 5 თამაში. ტურნირი 24 ქულით პირველ ადგილზე დაასრულეს და მე-2 ადგილზე მყოფ რუმინელებს 10 ქულით გაუსწრეს. ეს კი მათ 2023 წლის მსოფლიო თასის საგზურისთვის ბრძოლაში უდავო ფავორიტად ტოვებს.

მას მერე, რაც ტურნირი კიდევ ერთხელ მოიგო, საქართველოს ნაკრები ივლისში მსოფლიოს ჩემპიონ სამხრეთ აფრიკას სტუმრად ებრძოლა და მხოლოდ ბოლოსკენ გატყდა და 9:40 წააგო. მოგვიანებით იგივე გამეორდა საფრანგეთთან მატჩშიც, რომელთაც ქართველების დასამარცხებლად გვარიანი ოფლისღვრა დასჭირდათ – 41:15. და ბოლოს იყო ფრე ფიჯის ნაკრებთან ნეიტრალურ მოედანზე – 15:15, ფიჯისთან, რომელიც რეიტინგში უსწრებს საქართველოს ნაკრებს.

საქართველო მსოფლიო რეიტინგში მე-12 ადგილზე რჩება, რაც მომავალი თვეებისთვის შესანიშნავი პლაცდარმია. თუმცა სამხრეთ აფრიკასთან ტესტს ერთი ძალზე უარყოფითი ფაქტი მოჰყვა – ქართული დელეგაციიდან რამდენიმე კოვიდ 19-ით დაავადდა, ხოლო მთავარი მწვრთნელი ლევან მაისაშვილი დღეების განმავლობაში სიკვდილს ებრძოდა. თუ ექსპერტებს დავუჯერებთ, ის ძალიან იღბლიანია, რადგან ამ ბრძოლაში გადარჩა. გუნდის კაპიტანი მერაბ შარიქაძე იმ დროს იხსენებს.

მერაბ შარიქაძე:

– ქართული რაგბის ოჯახისთვის ძალიან საშინელი დრო იყო. როცა მისი მდგომარეობა გავიგეთ, ძალიან ვნერვიულობდით. ლევანს ქართული რაგბისთვის ძალიან ბევრი აქვს გაკეთებული. გარდა ამისა, შესანიშნავი პიროვნებაა. მწვრთნელს სამხრეთ აფრიკაში მოუწია დარჩენა, რადგან მდგომარეობა კრიტიკული იყო. თუმცა, ოქტომბრისთვის, როცა ჩვენი ფრენჩაიზი შავი ლომი რაგბი ევროპის სუპერთასზე ჩაერთო, ლევანი უკვე ჩვენთან ერთად იყო და გუნდს ხელმძღვანელობდა. როცა პირველად ვარჯიშზე გამოჩნდა, თვალებს არ ვუჯერებდით. ამის შემდეგ ქართულ რაგბიში წელიწადი უკვე პოზიტიურად წარიმართა.

28 წლის შარიქაძის ანგარიშზე უკვე 80 კეპია ეროვნულ გუნდში. მისი აზრით, ახალი ტურნირი, რომელშიც შავი ლომი ჩაება, ახალგაზრდა მორაგბეებისთვის თავის გამოსაჩენად კარგი ასპარეზია. შავმა ლომმა აღმოსავლეთ კონფერენციაში 4 თამაში მოიგო, 1 დათმო და უკვე გაინაღდა პლეი ოფში თამაში.

– სუპერთასის თამაშები ქართულ რაგბის ნამდვილად წაადგა. 2019 წლის მსოფლიო თასის შემდეგ ვცდილობთ, რაც ეროვნულ გუნდამდე სრული გზა რაც შეიძლება მეტმა ახალგაზრდამ გაიაროს. ეს კარგი იქნება ნაკრებში კონკურენციისთვის, შემადგენლობის სიღრმისთვის. 2020 წელი პანდემიის გამო, მთელი მსოფლიოსთვის რთული იყო, შარშან კი შავი ლომის წყალობით, ახალგაზრდა მორაგბეებმა გარკვეული გამოცდილება მიიღეს. კონკურენცია უფროსებსაც გვეხება და ეს კარგია ეროვნული გუნდის ინტერესებისთვის. ეს დაეხმარება ქართულ რაგბის უფრო მაღალ დონეზე გადასვლაში.

ქართულ რაგბიში ახალი, ნიჭიერი თაობა მოვიდა, რომელთა შორის 22 წლის თედო აბჟანდაძე გამოირჩევა, რომელსაც ასაკის მიუხედავად, უკვე 30 კეპი აქვს ეროვნულ გუნდში. როცა შარიქაძე სტანდარტების ამაღლებაზე საუბრობს, კარგად იცის, რომ სწორედ ეს მოუწევს გუნდს მომდევნო 2 თვის განმავლობაში რაგბი ევროპის ჩემპიონატზე.

6 თებერვალს პირველ ტურში საქართველო პორტუგალიას მასპინძლობს, რომელსაც შარშან ლისაბონში 29:16 მოუგო.

– შარშან მარტში პორტუგალიას ვესტუმრეთ და ამ გუნდმა კარგი თამაში შემოგვთავაზა. ბოლო წლებია, პორტუგალიის ნაკრები სწრაფად პროგრესირებს. ჩვენ კიდევ ერთხელ ვუყურეთ შარშანდელ კადრებს. მათ წინააღმდეგ თამაშში კარგი დაცვაა საჭირო. მაგრამ ვიცით, რომ თუ შემტევ რაგბის ვითამაშებთ, შევძლებთ ტურნირის გამარჯვებით დაწყებას. ამ ტურნირზე ყოველი მეტოქე თავის სტანდარტებს იმაღლებს, როცა ჩვენ გვეთამაშება, რადგან ბოლო წლებია, ჩვენ ვართ ის გუნდი, რომელიც ბოლო წლებში სულ იმარჯვებს და ყველას ჩვენი დამარცხება სურს. ხუთივე ნაკრები საქართველოს წინააღმდეგ ბოლომდე იბრძვის. ამისთვის მზად უნდა ვიყოთ. სტაბილურობა უნდა შევინარჩუნოთ და შედეგები გავაუმჯობესოთ. ამისთვის პირადად მზად ვარ.

ბითაძეს ტორონტოს ურჩევენ

კანადურმა მედიამ კალათბურთის ქართველი ქომაგისთვის საინტერესო სტატია გამოაქვეყნა. ავტორი ტორონტო რეპტორსში არსებული პრობლემების გადაჭრის გზებზე წერს და ასახელებს 3 კალათბურთელს, რომელთა გადაყვანაზეც ფიქრი ნამდვილად ღირს. ერთ-ერთი მათგანი ინდიანა პეისერსის ქართველი ცენტრი გოგა ბითაძეა.

– გოგა ბითაძე დრაფტის მე-18 ნომერი იყო და ამ პოზიციისთვის გაცემული ავანსები არ გაუმართლებია. თუმცა, მისი რამეში დადანაშაულება შეგვიძლია? ბითაძის კონკურენტები ტერნერი და საბონისი არიან, წლეულს ინდიანამ აიზეია ჯექსონიც აიყვანა და ბითაძის გუნდში კიდევ ერთი სეზონით დატოვება, პეისერსისთვის მთლად აზრიანი გადაწყვეტილება არაა.

ერთ-ერთი გუნდი, რომელმაც, შესაძლოა, ინდიანას გოგა „წაართვას“, ტორონტო რეპტორსი გახლავთ. ბითაძის პროგრესმა სტაგნაცია განიცადა, მაგრამ მის თამაშში არის რაღაც, რასთან მუშაობაც შეიძლება, რომ მისი ტრეიდის განხორციელებასა და როტაციაში ჩასმაზე ფიქრი ღირდეს. ტორონტოში ბითაძის კონკურენტები აჩიუვა და ბირჩი იქნებიან. გოგას გადმოსვლის შემთხვევაში, ამ უკანასკნელს სათამაშო დრო შეუმცირდება, მაგრამ ესაა რისკი, რომელიც რეპტორსმა უნდა გასწიოს თუ ბითაძის, როგორც პერსპექტიული ახალგაზრდის, სჯერა.

გოგას გადაყვანა გუნდს ძვირი არ დაუჯდება და მხოლოდ ის ვერ მოაგვარებს პრობლემებს, რომლებიც ტორონტოს საკუთარი ფარის დაცვისას აქვს, მაგრამ გოგას ნამდვილად აქვს საკმარისი გამოუყენებელი პოტენციალი, რათა ტორონტო დაინტერესოს. რეპტორსის პრეზიდენტ მასაი უჯირის უყვარს პირველი რაუნდის ყოფილი პიკების გადაყვანა იმ იმედით, რომ მათ, შესაძლოა, კარიერული პროგრესი განიცადონ და, არ არის გამორიცხული, ბითაძე მისთვის საინტერესო ვარიანტი იყოს.

გეტყვით, რომ ტორონტოს 25 მოგება და 23 წაგება აქვს და აღმოსავლეთ კონფერენციაში მე-8 ადგილზეა.

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. რომელიმე პროდუქციის შემოტანის აკრძალვა სახელმწიფოში; 2. რუსი მგოსანი; 3. დიდი ქრისტიანული დღესასწაული; 4. მართლმსაჯულების ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 5. ხორბლის ქართული ჯიში; 8. დიდი წვეულება; 9. ციხე-სიმაგრე ალგეთის ხეობაში; 12. დიდი თევზსაჭერი გემი; 13. ძვირფასი სარეწაო თევზი; 16. მარტვილის ძველი სახელწოდება; 17. კერძო მეწარმე სოფლად; 19. ესპანური ავიაკომპანია; 20. თეატრალური პრემია საქართველოში.

თარაზულად: 6. საერთაშორისო კატეგორიის ქართველი რაგბის მსაჯი; 7. უკრაინის მმართველთა ტიტული ძველად; 8. ბოშათა წინამძღოლი; 10. ხატვის ერთ-ერთი ჟანრი; 11. სანადირო თოფების წარმოების ერთ-ერთი ცენტრი გერმანიაში; 14. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი მამაკაცი; 15. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური გერმანიაში; 18. უძველესი აკადემია კახეთში; 21. მაღალმთიანი კურორტი გურიაში; 22. შემთხვევით ჩავარდნილი შარი ბილიარდში; 23. ბუნებრივი ნაკრძალი ქვემო ქართლში; 24. ცნობილი ქართველი მეღვინე.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. პობედა; 2. წუღა; 3. შემოქმედი; 4. დგუში; 5. მამფალი; 8. რეჟიმი; 9. კონტრაქტი; 12. ბუზუკი; 14. ოაზისი; 16. იტილი.

თარაზულად: 1. პეტრიწონი; 6. ლეთარგია; 7. ბაირაღი; 9. კესონი; 10. თითა; 11. ტიციანი; 13. აზოტი; 15. მუჯირი; 17. ყირმიზი; 18. სურამი; 19. ფაუსტი; 20. ლიქიორი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. დიუნანი; 2. ენოთეკა; 3. ჰოლდინგი; 4. ვლტავა; 5. ზანდური; 8. ყანჩელი; 9. კაკანათი; 12. კასტილია; 13. არქტიკა; 16. მოგადიშო; 17. პასტელი; 19. დნეპრი; 20. ხერესი.

თარაზულად: 6. პირანდელო; 7. კლიმატი; 8. ყადაღა; 10. მანდელა; 11. ხულა; 14. ქარვასლა; 15. ესტანსია; 18. პოლისი; 21. ნეკრესი; 22. ცენტი; 23. იუმორი; 24. ნოვარტისი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

2 თებერვალი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.0451

ევრო — 3.4282

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.1112

100 რუსული რუბლი — 3.9634

ამინდის პროგნოზი 2 თებერვლისათვის

აარონ რემზი კარიერას რეინჯერსში გააგრძელებს

აარონ რემზი კარიერას რეინჯერსში გააგრძელებს და მან გუნდთან 2–წლიანი იჯარა გააფორმა, რომლის მიხედვითაც რეინჯერსს მისი გამოსყიდვის უფლება ექნება. რემზი იუვენტუსში თამაშობდა. ამ გუნდში ის ბოლო პერიოდში ნაკლებად ხვდებოდა ძირითად შემადგენლობაში და მისი წასვლის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი სწორედ ეს არის. რემზი ცნობილი ლონდონის არსენალში გახდა, სადაც დაიწყო კიდეც მისი კარიერა.

დელე ალი ევერტონის ფეხბურთელია

ლონდონის ტოტენჰემის ფორვარდი დელე ალი კარიერას ევერტონში გააგრძელებს და მან გუნდთან სამწლიანი კონტრაქტი უკვე გააფორმა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ალიმ ასეთი გადაწყვეტილება სათამაშო პრაქტიკის ნაკლებობის გამო მიიღო და ინტერვიუშიც ისაუბრა ამის შესახებ. ალის კარიერაში ევერტონი მხოლოდ მეორე გუნდი იქნება, რადგან ის ტოტენჰემის აღზრდილია.

დემბელე, შესაძლოა, ჩელსიში აღმოჩნდეს

უსმან დემბელე, დიდი ალბათობით, კარიერას ლონდონის ჩელსიში გააგრძელებს და ლონდონელები მას სარფიან წინადადებას სთავაზობენ, რომელზეც უსმანი უარს არ იტყვის. დემბელეს ბარსელონაში დარჩენა სურდა, მაგრამ კატალონიელებმა მას სათანადო პირობები ვერ შესთავაზეს, რის გამოც სხვა გადაწყვეტილება მიიღო. დარჩენილი სეზონის განმავლობაში დემბელე ბარსელონის ფეხბურთელი იქნება, მაგრამ ის შეხვედრებში მონაწილეობას ვერ მიიღებს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ლომმა ზოოპარკის თანამშრომელი იმსხვერპლა

ირანის ქალაქ არაკში ლომი თავს დაესხა ზოოპარკის ერთ-ერთ თანამშრომელს და დაგლიჯა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ზოოპარკის თანამშრომელი ცხოველისთვის საკვების მიცემას აპირებდა, რა დროსაც მტაცებელი გალიიდან გამოვარდა და თავს დაესხა. ინციდენტის შედეგად მამაკაცი დაიღუპა.

დაწესებულების ხელმძღვანელების მიერ გაკეთებული განცხადების თანახმად, მათ შესაბამისი ღონისძიებები გაატარეს და ცხოველი ზოოპარკის ტერიტორიაზე რჩება, თუმცა, ამავე დროს, ადგილობრივი მოსახლეობა გააფრთხილეს, რომ აღნიშნულ ტერიტორიას არ მიუახლოვდნენ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

2 თებერვლისათვის

ვერძი – საოჯახო პრობლემები სრულად ჩაგითრევთ. აკონტროლეთ შემოსავალ-გასავალი. გამოიყენეთ მეგობრების გამოცდილება. **კურო** – მიენდეთ ახლობლებს. ეცადეთ, მოსალოდნელი კონფლიქტი თავიდან აიცილოთ. ჯანმრთელობაზე იზრუნეთ. **ტყუპები** – ცდუნებას ნუ აჰყვებით. თუ ქალაქგარეთ გასვლა მოგიხდათ, სიფრთხილე გამოიჩინეთ. **კირჩხიბი** – გუნება-განწყობა გეცვლებათ. აქტიურობთ, თუმცა შინაგანად დაძაბული ხართ. **ლომი** – ზედმეტი მიამიტობა შეცდომების დაშვების მიზეზად იქცევა. ყურადღებით იყავით საქმიან პარტნიორებთან ურთიერთობისას. **ქალწული** – საკუთარ თავში დარწმუნებული ხართ, მაგრამ ეს არ გაძლევთ იმის საფუძველს, რომ თქვენი შესაძლებლობები გადაჭარბებულად შეაფასოთ. **სასწორი** – წინააღმდეგობები შეგხვდებათ. გარშემომყოფებთან დაძაბული ურთიერთობა გექმნებათ. **ღრიანკალი** – იღბლიანი დღეა. დაწყებულ საქმეს წარმატებით დაამთავრებთ. პირად ცხოვრებაშიც გიმართლებთ. **მშვილდოსანი** – ყურადღების ცენტრში ხართ. ყოველმხრივ კეთილისმყოფელი დღეა. ზომიერება დაიცავით. **თხის რქა** – გეგმების განხორციელებაში ხელი არ გეშლებათ. მოსალოდნელია აზრთა სხვადასხვაობა ხელმძღვანელ პირებთან. **მერწყული** – მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მისაღებად მშვენიერი პერიოდია. მოვლენების დაჩქარება სასურველი არ არის. **თევზები** – სიტუაციაში გარკვევა გიჭირთ. ოდნავ დაბნეული ხართ. საღამოს რომანტიკული შეხვედრაა მოსალოდნელი.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– ბიჭო, შენი ცოლი როგორ გაიცანი?

– შემთხვევით, ვერავის დავადანაშაულებ...

●●●

ტელეფონი რეკავს:

– ალო, უკაცრავად, ლამარას სთხოვეთ.

– ლამარა გათხოვდა, მაგრამ თქვენ არ ინერვიულოთ, მალე დაბრუნდება.

●●●

ქალი დაქალს უყვება:

– შემდეგ კი დიდხანს დავდიოდი ოჯახის ფსიქოლოგთან.

– და რატომ დაანებე თავი?

– ფსიქოლოგის ოჯახი იყო წინააღმდეგი...

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– იღბლიანი ხარ?

– მერე როგორი! ერთხელ ჩემ სახლში ჩატარებული ჩხრეკის შემდეგ, ნარკოტიკები ვიპოვე, რომელიც პოლიციელებმა ჩამიდეს, მაგრამ თვითონ ვეღარ იპოვეს!

●●●

ექიმები ორი საათია პაციენტის რეანიმირებას ცდილობენ და ამ დროს პულსი საერთოდ იკარგება. ერთი ექიმი მეორეს ეუბნება:

– ავადმყოფს ვკარგავთ!

ამ დროს ხანშიშესული სანიტარი კითხულობს:

– და რაზე მუშაობდა?

– სამარშრუტო ტაქსის მძღოლი იყო.

სანიტარი მივიდა ბოქსის კართან და მთელი ძალით მიაჯახუნა.

ამ დროს მედდა ექიმს ეუბნება:

– შეხედეთ, პულსი 80, წნევა 120 90-ზე. ექიმო, მან თვალები გაახილა!!!

●●●

ცოლი ქმარს ურეკავს და ეკითხება:

– ძვირფასო, გიყვარვარ?

– შე შობელძაღლო, რა მოუვიდა მანქანას?!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

„ჩემი ცოლის დაქალები“ 5 თებერვლიდან დაბრუნდება



მაყურებლისთვის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ქართული სერიალი „ჩემი ცოლის დაქალები“ სატელევიზიო ეთერს 5 თებერვლიდან დაუბრუნდება.

ტელეკომპანია „ფორმულას“ ეთერში სერიალის დაწყებასთან დაკავშირებით ანონსი უკვე ტრიალებს.

„ჩემი ცოლის დაქალები“ უკვე სამი კვირაა, ეთერში არ გადის და მას ათასობით მაყურებელი ელოდება. მათი თქმით, ამ გაუსაძლის ყოფაში კვირაში ორი დღე, რამდენიმე წუთი, ეს სერიალი მართლაც იძლევა იმის საშუალებას, რომ მოსწყდე მძიმე რეალობას და სერიალის პერსონაჟების ცხოვრებით იცხოვრო.

„ფორმულა კრეატივმა“ სერიალის გადაღებები საქართველოში კოვიდის გახშირებული შემთხვევების გამო შეაჩერა და ეპიდემიური ვითარების გაუმჯობესებისთანავე გადაღებების გაგრძელების პირობა დადო.

ელენე ნავერიანის ფილმმა შვეიცარიაში გაიმარჯვა

ქართველი რეჟისორის ელენე ნავერიანის ფილმმა „სველი ქვიშა“ შვეიცარიაში ზოლოთურნის საერთაშორისო კინოფესტივალზე გაიმარჯვა.

ქართველი რეჟისორის ნამუშევარმა რიგით 57-ე კინოფესტივალის სპეციალური პრესტიჟული ჯილდო დაიმსახურა.

ზოლოთურნის საერთაშორისო კინოფესტივალი მსოფლიო კინემატოგრაფში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფესტივალია.

ელენე ნავერიანისთვის ამ ფესტივალზე გამარჯვება უდიდესი წარმატებაა. „სველი ქვიშა“ ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით არის შექმნილი და იგი შვეიცარია-საქართველოს კოპროდუქციაა.

„წუნა და წრუწუნას“ გამხმოვანებელი გივი წიქარიძე გარდაიცვალა

ყველა პატარის საყვარელი ანიმაციური ფილმის „წუნა და წრუწუნას“ გამხმოვანებელი გივი წიქარიძე გარდაიცვალა.

სამწუხარო ინფორმაცია მუსიკოსმა ზაზა მარჯანიშვილმა გაავრცელა:

– გივი წიქარიძე გარდაიცვალა. ნამდვილი ადამიანი, მოქალაქე, სიკეთის ეტალონი. ვისაც ქართული მულტფილმი გიყვართ, „წუნა და წრუწუნას“,'„ჩხიკვთა ქორწილის“, კიდევ მრავალი ფილმის გამხმოვანებელი და მონაწილე, კაცი, რომელმაც ქართულ კინემატოგრაფიას მთელი ცხოვრება მიუძღვნა, ყოველდღე ჩემთან ურთიერთობაში ქართული ფილმის ყოველ წარმატებას ჟანგბადად, უდიდეს სიხარულად და ბედნიერებად აღიქვამდა – ჯერ შუქი გაუთიშეს, მერე გამოაძევეს იქიდან, საიდანაც სანიმუშო საქმეები ჰქმნა, რომლებსაც, დრო მოვა და ბავშვებს ვაჩვენებთ... გულმა ვერ გაუძლო და... წავიდა... გული გაუხეთქეს!

შეკითხვა მაქვს – რომელი ტელევიზია გაბედავს და გააშუქებს ამ ამაზრზენ, არაპროფესიონალურად ჩატარებულ ოპერაციას?

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

მაჩვზღარბმა ლეოპარდს აჯობა

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის კრიუგერის ეროვნულ პარკში ახალგაზრდა ლეოპარდმა გადაწყვიტა, მაჩვზღარბი მოენადირებინა, მაგრამ მარცხი იწვნია. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო იუთუბიზე პარკის არხზე იქნა გამოქვეყნებული.

ჯაკო დე სუორდტომის მიერ გადაღებულ ვიდეოზე ჩანს, თუ როგორ ილოკავს სხეულს შუა გზაზე მოკალათებული ლეოპარდი, ხოლო მაჩვზღარბი მას თვალს არ აცილებს. დაძაბულობა იმატებს. ლეოპარდი ბრაზდება და მაჩვზღარბის დევნას იწყებს.

მაჩვზღარბი ჭყვიტინებს, იბურძგლება, მტაცებელი კი თათს რამდენიმეჯერ ურტყამს ზურგზე. მათი დაპირისპირება იმით სრულდება, რომ მაჩვზღარბის ეკალი ლეოპარდს თათში ესობა. ამის შემდეგ მტაცებელი მას თავს ანებებს და უკვე ნატკენი თათის ლოკვას იწყებს. მაჩვზღარბი მშვიდად აგრძელებს გზას.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოხდი 2



შვეულად: 1. დაუდუღარი ყურძნის წვენი; 2. ხმარებიდან გამოსული ქაღალდის ფული; 3. წიგნის ფურცლების დანომვრა; 4. მთავარი მოედანი მილანში; 5. მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი ამერიკული ქიმიურ-სამრეწველო კონცერნი; 8. თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ქართული წარმოშობის ხალხი; 9. ქალაქი იმერეთში; 12. მთიელგუდამაყრელთა მთავარი სალოცავი; 14. ხურდა ფულის, მონეტების დასამზადებლად გამოყენებული დაბალი ხარისხის ვერცხლი; 16. უილიამ შექსპირის ტრაგედია.

თარაზულად: 1. ჯუნა მიქატაძის ქანდაკება თბილისში; 6. ქართული ხალხური ცეკვა; 7. სიკო დოლიძის კინოკომედია; 9. კომბინაცია პოკერში; 10. კლდის ნაპრალებში ბინადარი ხვლიკისმაგვარი შხამიანი ქვეწარმავალი; 11. კუთხე საქართველოში; 13. მდინარე რომში; 15. პოპულარული მაგიდის სათამაშო; 17. ბრაზილიის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელი; 18. გერმანიაში მოღვაწე ქართველი კინოსა და თეატრის მსახიობი მამაკაცი; 19. კათოლიკე მღვდელი პოლონეთში; 20. პორტუგალიის ნაკრებისა და „იუვენტუსის“ ფეხბურთელი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა